ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 276 (18818) ხუთშაბათი, 1 დეკემბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

30 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ მიიღო საბჭოთა ალპინიზმის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ალპინიზმის ფედერაციათა პრეზიდიუმების საიუბილეო საზეიმო სხდომის მონაწილეთა ჯგუფი.

საუბრის დროს ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს მთამსვლელებმა დიდი წვლილი შეიტანეს საბჭოთა ალპინიზმის — ვაჟკაცი და მამაცი ადამიანების სპორტის განვითარებაში. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ყველა საბჭოთა ადამიანი ამაყობს საბჭოთა მთამსვლელების მიღწევებით, რომლებმაც დაიპყრეს მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი — ევერესტი.

პარტიული, საბჭოთა, ფიზკულტურული ორგანიზაციების, მთელი საზოგადოებრიობის ამოცანაა ყოველმხრივ განავითარონ მასობრიობა, ალპინიზმით დაინტერესონ ახალგაზრდობა. საჭიროა განუხრელად განვამტკიცებდეთ ამ სახეობის სპორტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ვემზიდეთ ალპინიზმის სექციებს უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში. და აქ ფასდაუდებელ სარგებლობას მოგვიტანს საბჭოთა ალპინისტების უფროსი თაობის, ევერესტის დამპყრობლების მაგალითი.

გამოთქვა სურვილი, რომ ქართველ მთამსვლელებთან წამყვანი საბჭოთა ალპინისტების, საკავშირო ფედერაციის ხელმძღვანელობის შეხვედრები გახდეს ტრადიციული. ამ შეხვედრებზე შეიძლება გამოცდილების გაზიარება, მომავლის ამოცანების დასახვა.

შეხვედრის მონაწილეებმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას, მთავრობას, რესპუბლიკის მთელ საზოგადოებრიობას საბჭოთა ალპინიზმის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმის კარგი ორგანიზაციისათვის.

ჰიმალაის გუნდის დავალებით სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, ევერესტზე საბჭოთა გუნდის პირველამსვლელმა, სსრ კავშირის ალპინიზმის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ ე. ბ. მისლოვსკიმ ე. ა. შევარდნაძეს გუნდის სამახსოვრო ვიმპელი გადასცა.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ უსურვა ალპინისტებს ახალი გამარჯვებანი საბჭოთა სპორტის სასახელოდ, ჯანმრთელობა და ბედნიერება.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. ე. ხაბეიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნ. შ. ენდელაძე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე რ. ა. გოგლიძე. (საქინფორმი).

ადგილობრივი საბჭოს სესია

ბევნი ცხოვრების ყველა უბანზე, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში ვხედავთ ადგილობრივი საბჭოების პოლიტიკური, ორგანიზაციულ-მასობრივი შუამაობით და იწიციატივით წამოწყებულ, მოგვარებულ და გაკეთებულ საქმეებს, რესპუბლიკის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში გაწეული დიდი შემოქმედებითი მოღვაწეობის ნაყოფს. ცხადია, ყოველივე კარგსა და ადამიანებისათვის სასიკეთოს ადგილობრივი საბჭოები აღწევენ პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და წინამძღოლობით. და ყოველივე ეს თვალნათლივ ჩანს საბჭოების სესიების მომზადების, მიმდინარეობისა და მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის მუშაობის პროცესშიც.

ადგილობრივი საბჭოების სესიების მომზადება და წარმატებით ჩატარება ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ამაზე ღრმად და საქმიანად იყო ლაპარაკი ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკურ კრებაზე, რომელიც ამას წინათ გაიმართა. ჩვენი საბჭოების სესიებზე ახლა სულ უფრო კომპეტენტურად, საქმის ცოდნით განხილავენ და წყვეტენ ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხებს, უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ საბჭოების წინაშე მდგომ ისეთ სისხლხორცეულ ამოცანებს, როგორიც არის სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელება, ადგილობრივი კომპლექსების განვითარება, სახელმწიფო, საშემსრულებლო და შრომითი დისციპლინის განმტკიცება, მოსახლეობის სამედიცინო, კულტურული, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება, ე. ი. ისეთი პრობლემების გადაწყვეტა, რომლებიც ჩვენი შრომელი ადამიანების ინტერესებს გამოხატავს.

ახლა ბევრგან სესიების მომზადებასა და ჩატარებას წინ უძღვის კარგად მოფიქრებული სამუშაო გეგმების შედგენა, ადრიანად იქმნება სპეციალური კომისიები, რომლებიც მუშაობენ განსახილველი საკითხების მომზადებაზე და შემდეგ მათი ნამუშევარი აისახება სოლმე მოხსენებებში, ზუსტდება და გვარდება საქმის ყველა ის ორგანიზაციული პრობლემა, რომელთა გადაწყვეტა უზრუნველყოფს სესიების კონსტიტუციურ მოთხოვნათა დონეზე ჩატარებას. ამ მხრივ მუშაობის კარგი გამოცდილება შეიძინეს წყალტუბოს, ფოთის, რუსთავის საქალაქო, ცხაკაიას, წულუკიძის, ზუგდიდის, ზესტაფონის, ლაგოდეხის, გორის, თბილისის საქარხნო, ორჯონიკიძის რაიონულმა საბჭოებმა.

ჩვენი ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში უდავოდ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ბევრგან ამაღლდა მუდმივი კომისიებისა და ცალკეული დეპუტატების როლი სესიებზე განსახილველი საკითხების მომზადებაში. ასეთი მუშაობით სასიკეთო საქმეებს აგვარებენ ტყიბულის საქალაქო, კასპის, ცხაკაიას და ზოგიერთ სხვა რაიონულ საბჭოში. უთუოდ მოსაწონი და მისაბაძია რუსთავის საქალაქო საბჭოს მუშაობა, რომელიც სესიების წინ აწყობს მშრომელთა ანკეტურ გამოკითხვას განსახილველი საკითხების გარშემო, გამოკითხვის შედეგებს, მშრომელთა მოსაზრებებსა და წინადადებებს ითვალისწინებენ როგორც მოხსენებებში, ისე გადაწყვეტილებათა მიღების დროს. თელავის რაიონის სასოფლო საბჭოებში მოწყობილი აქვთ სპეციალური ყუთები, რომელთა მეშვეობით მოსახლეობა თავის მოსაზრებებსა და წინადადებებს გამოთქვამს სესიებზე განსახილველი საკითხების გარშემო.

რა თქმა უნდა, ადგილობრივი საბჭოს სესიის მომზადებისა და ჩატარებისათვის გაწეული მუშაობა ყველგან როდი გამოირჩევა ორგანიზებულობით, შინაარსით, მსჯელობითა და მიღებული დადგენილებებით. სამწუხაროდ, არის ფაქტები, როცა სესიებზე მოსმენილი მოხსენებები მეტად სქემატური და ზოგადია, არც კრიტიკული ანალიზით გამოირჩევა და არც სათანადო ფაქტებით არის განმტკიცებული. ამას წინათ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკურ კრებაზე ამბ. ე. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ „ხშირად მათი ყურადღების ცენტრში ხვდება წვრილმანი პრობლემები, განიხილავენ მხოლოდ მიმდინარე საკითხებს, გადაწყვეტილებებს კი ზოგადი დეკლარაციული ხასიათი აქვს. სასოფლო, სადაბო, მით უმეტეს რაიონული და საქალაქო საბჭოების ყოველი სესია მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა უნდა იყოს ქალაქის, რაიონის, დაბის, სოფლის ცხოვრებაში".

ჭეშმარიტად რომ, სწორად არის ნათქვამი. ზოგან სესიებს ძირითადად იმისათვის იწვევენ, რომ ანგარიში ჩააბარონ ხელმძღვანელ ორგანოებს, არ იმარჯვებ საქმიანი, პრინციპული მსჯელობა პრობლემებზე, რომლებიც მათ წინაშე დგას, ამასთან ერთად ნაკლებად ლაპარაკობენ იმ მუშაკების პასუხისმგებლობასა და კომპეტენტურობაზე, რომლებიც სამეურნეო თუ კულტურული საქმიანობის ამა თუ იმ უბანს ხელმძღვანელობენ, არ იგრძნობა პრინციპული მოთხოვნელობა და ნაკლოვანებების დაძლევის გზების ძიება. მაგალითად, საჩხერის რაიასბჭოს მეოთხე სესიაზე შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხზე მსჯელობდნენ. მოხსენება, რომელიც სესიამ მოისმინა, ზერელე და ნაკლებად ეფექტიანი იყო, არც კამათის მონაწილენი გამოირჩეოდნენ პრინციპული და საქმიანი სჯა-ბაასით. ცხადია, ამის გამო არც მიღებული გადაწყვეტილება იყო კონკრეტული და საქმიანი. ასეთი ნაკლოვანებებითა და ხარვეზებით გაიმართა მესტიის, ადიგენის, ახპინძის, თიანეთის, დმანისის, ზნაურის, ჩხოროწყუს, დუშეთის, ქარელის და ზოგიერთი სხვა რაიონული საბჭოს სესიები.

ჭეშმარიტებაა, რომ ყოველი სესიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შინაარსსა და საქმიან მხარეზე ვავლენას ახდენს მოკამათეთა გამოსვლები, ის, თუ როგორი აქტიურობით მსჯელობენ დეპუტატები, სწორედ ის ადამიანები, რომლებიც ხალხის წარმომადგენლები არიან. მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდება, რომ სესიებზე გამოსულთა უმრავლესობა მოწვეული ამხანაგები არიან და, ფაქტია, დეპუტატების აქტიურობა ულიმლამოდ გამოიყურება. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: თბილისის კიროვის რაისაბჭოს მეოთხე სესიაზე გამოტანილი საკითხის განხილვაში მონაწილე 17 კაციდან მხოლოდ 8 იყო დეპუტატი, ახპენის რაისაბჭოს მეორე სესიაზე ძირითადი საკითხის განხილვაში სულ 5 კაცი მონაწილეობდა, მათ შორის დეპუტატი მხოლოდ ერთი იყო, გურჯაანის რაისაბჭოს მესამე სესიაზე საკითხის განხილვისას კამათში სამი კაცი გამოვიდა, აქედან დეპუტატი მხოლოდ ერთი იყო. ასეთი ხარვეზებით გაიმართა სესიები ამბროლაურის, დმანისის და ზოგიერთ სხვა რაიონში.

ჩვენი ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში ჯერ კიდევ ვერ მიეღწიეთ იმას, რომ სესიის გადაწყვეტილება იყოს კონკრეტული, საქმიანი და უპასუხებდეს მოვლენებს, იმ პრობლემებს, რომლებზეც მსჯელობა მიმდინარეობდა. უფრო მეტიც, ზოგჯერ ისეთ გადაწყვეტილებას იღებენ, რომელსაც თავისი შინაარსით თითქოს საერთო არა აქვს რა იმ საკითხებთან, რომლებზეც მსჯელობდნენ. ასე იყო, მაგალითად ყაზბეგში. აქ რაისაბჭოს დეპუტატები თავიანთ მეოთხე სესიაზე აღმასკომის წინა წლის მუშაობის ანგარიშს ისმენდნენ. სამწუხაროდ, გადაწყვეტილება იმდენად ზოგადი იყო, რომ ვერაფერს გაიგებდი, რა იყო გასაკეთებელი და შესასრულებელი. ასეთივე ზოგადი იყო დუშეთის, ქარელის, ადიგენის, ახპინძის რაისაბჭოების მეოთხე სესიებზე მიღებული გადაწყვეტილებანი.

ეს და საბჭოების მუშაობაში, კერძოდ, სესიების მომზადებასა და ჩატარებაში არსებული სხვა ნაკლოვანებანი იმის შედეგიც არის, რომ აღმასკომების აპარატის მუშაკები, მუდმივი კომისიების წევრები კარგად არ იცნობენ ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, ღრმად არ სწავლობენ ამ საკითხებზე არსებულ ლიტერატურას და ნორმატიულ აქტებს. ერთი სიტყვით, მიუხედავად წარმატებებისა, ჩვენს ადგილობრივ საბჭოებს მუშაობაში ჯერ კიდევ აქვთ ნაკლოვანებებები, გამოსასწორებელი და მოსაგვარებელი საქმეები. ამიტომ პარტიული ორგანიზაციები უფრო ქმედითად უნდა დაეხმარონ მათ მუშაობის გარდაქმნაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოების ყველა ქვეგანაყოფის საქმიანობის გააქტიურებას, მუშაობის ისე წარმართვას, რომ საბჭო ყოველი სესია, მისი გადაწყვეტილებანი სახელმძღვანელო იყოს რაიონისა თუ ქალაქის სამეურნეო ორგანიზაციებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის ბიურომ მორიგ სხდომაზე მოისმინა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი აფხაზეთის ასს რესპუბლიკის შემდგომი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების შესახებ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ ხსენებული დადგენილებებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განსახორციელებლად მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული, ამასთან პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტსა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს დაავალა განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი დირექტიული ორგანოების მიერ დასახული მთელი პროგრამის უცილობელი შესრულებისათვის, ფართოდ გააცნონ მასებს, თუ რა მუშაობა წარმოებს რესპუბლიკაში აფხაზეთის ასსრ ეკონომიკური პოტენციალის მკვეთრი ამაღლების უზრუნველსაყოფად.

ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება ქალაქ მარნეულის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

მიღებულია დადგენილება, რომ ქართველ ენაზე გამოიცეს ვ. ი. ლენინის, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის რჩეული თხზულებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ მოისმინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ს. ე. ხაბეიშვილის ინფორმაცია დასავლეთის (კოლხეთის) ეკონომიკურ რაიონში სამრეწველო წარმოების დამატებითი რეზერვების გამოსავლენად მუშაობის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ იმსჯელა რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში არსებული ბოროტმოქმედების ფაქტების საკითხზე და დაავალა სამინისტროს ხელმძღვანელობას პრინციპულად შეაფასოს სისტემის ყველა სამსახურის მუშაობა, დაუწესოს მკაცრი სისტემატური კონტროლი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის მიმდინარეობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მოისმინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების ინფორმაცია რაიონული და საქალაქო საანგარიშო-საარჩევნო პარტიული კონფერენციების მიმდინარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ პარტიული კონფერენციები ყველგან მიმდინარეობს მაღალ ორგანიზაციულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, ცხადყოფს, რომ დელეგატები ერთსულოვნად იწონებენ პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მოწმობს, რომ კომუნისტები, ყველა მშრომელი შეკავშირებული არიან სკკპ ცენტრალურ კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს გარშემო. კონფერენციების ყურადღების ცენტრში არის საკითხები, თუ რა მუშაობას უნდა ეწიოდნენ პარტორგანიზაციები სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, კომუნისტების, შრომითი კოლექტივების დასარაზმავად მიმდინარე წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა უცილობელი შესრულებისათვის.

ინფორმაციებით გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის, ზესტაფონის, ზნაურის, კასპის, ცხაკაიის, ახალციხისა და ამბროლაურის რაიკომების პირველი მდივნები — ამხანაგები ლ. მ. გოლაძე, გ. გ. გუმბარიძე, გ. ი. გაგიევი, დ. ლ. ჯავახიშვილი, ბ. ს. ჯიქია, დ. ი. კოტეტიშვილი, დ. ლ. ჩლაიძე, რომლებმაც გააშუქეს პარტიული კონფერენციების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის სხდომა. მოისმინეს ინფორმაციები რესპუბლიკის მშრომელთა მიერ მიმდინარე წლისათვის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების დავალებების, სახელმწიფოსადმი მაწოდების რეალიზაციის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ, ზოგიერთი სხვა საკითხი.

სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ვ. კ. შარტავა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ჭითანავა.

ანგარიშგებით მოვიდა ენერგეტიკული, ტრანსპორტის, ფერადი მეტალურგიის, ქიმიის, ქვანახშირის მრეწველობის საწარმოები. მათ შორის არის ისეთებიც, რომელთა ურიტმო მუშაობა უარყოფითს გავლენას ახდენს არა მარტო თავისი დარგის, არამედ სხვა დარგების ეფექტიანობაზეც.

აღინიშნა, რომ პარტიულმა, სამეურნეო, საბჭოთა ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობისა და მართვის სრულყოფას. დეკემბრის ყოველი დღე დიდნაყოფიერი შრომის დღე უნდა გახდეს.

კომისიის სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ახალი, 1984 წლის პირველი დღეებიდანვე უნდა უზრუნველყონ ზუსტი საწარმოო რიტმი. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მოწინავეთა დონემდე ავიყვანოთ ის საწარმოები, ერთიანი სამეურნეო კომპლექსის ის რგოლები, რომლებმაც რაიმე მიზეზით ვერ გაართვეს თავი საგეგმო მაჩვენებლებს და მიმდინარე წელს ჩამორჩენა ჰქონდათ, ამ მიზნის მიღწევის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა კარგად ორგანიზებული სოციალისტური შეჯიბრება. ჩასწვდნენ ამ საქმეს, კონტროლი გაუწიონ შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას, ათამაღლონ თითოეულის პასუხისმგებლობა მუშაობის დავალებული უბნისათვის — ასეთია დღეს პარტიული ორგანიზაციების უპირველესი ამოცანა.

კომისიის სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა. (საქინფორმი).

ქურნალის იუბილე

ექვსი ათეული წელია „დროშა" ემსახურება მშრომელთა კომუნისტური ხელისკვეთებით აღზრდას. ჟურნალი გახდა რესპუბლიკის ცხოვრების ჭეშმარიტი მატიანე. პირველი რომრიდან მოყოლებული დღევანდლამდე ქართველი მწერლები მის ფურცლებზე აქვეყნებდნენ და აქვეყნებენ თავიანთ საუკეთესო პოეტურ და პროზაულ ნაწარმოებებს, მხატვრულ ნარკვევებს, პუბლიცისტურ სტატიებს. ცოცხლად ეხმაურებიან ჩვენი სინამდვილის ყველა მნიშვნელოვან მოვლენას, — ხაზგასმულია მისალმებაში, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაუგზავნა რედაქციის კოლექტივს, მუშა და სოფლის კორესპონდენტებს, მრავალრიცხოვან მკითხველებს „დროშის" პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით.

რესპუბლიკის მკითხველები დიდად აფასებენ ჟურნალის ავტორიტეტს, უყვართ იგი. ამ სიყვარულის გამოხატულება იყო საიუბილეო საღამო, რომელიც 30 ნოემბერს გაიმართა თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში.

პრეზიდიუმში იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნ. ენდელაძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე, პასუხისმგებელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელები, წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა ამხ. გ. ნ. ენუქიძემ. ერთსულოვნად, შეკრებილთა მქუხარე ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის მეთაურობით.

ჟურნალის მიერ განვლილი გზის შესახებ მოხსენება გააკეთა „დროშის" მთავარმა რედაქტორმა, პოეტმა ხ. ბერულავამ.

საიუბილეო საღამოზე გამოვიდნენ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანი, გაზეთ „სოფლის ცხოვრების" რედაქტორი მ. დავითაშვილი, პარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ო. თენგიზოვი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ჯიბლაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, პოეტი ჯ. ჩარკვიანი, ბელორუსი მწერალი ვ. ნიკიფოროვიჩი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე, სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი უ. ივანიაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი მ. გამცემლიძე, რომლებიც გულითადად მიესალმნენ რედაქციის კოლექტივს, ავტორთა აქტივს და უსურვეს მათ ახალი წარმატებანი.

პოეტმა ო. შალამბერიძემ წაიკითხა ჟურნალ „დროშისადმი" მიძღვნილი ლექსი.

დასასრულ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ხელოვნების ოსტატები. (საქინფორმი).

კონტროლი დავუწესოთ ვალდებულებათა შესრულებას

აღინიშნა, რომ რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების 16 ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით დავალებათა რეალიზაციის პროგნოზები დამაიმედებელია. უმაღლესი კატეგორიის ხარისხის პროდუქციის გამოშვების გეგმა აგრეთვე შეასრულა რესპუბლიკის თითქმის ყველა სამინისტრომ და უწყებამ, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა. სავარაუდოა, რომ შრომის ნაყოფიერება წლის დამლევისათვის 3,6 პროცენტით გაიზრდება.

დადებით შედეგებს იძლევა შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება. შემცირდა სამუშაო დროის ნაგულისწყრომით დაგმეს ვაშინგტონის კაცთმოძულე პოლიტიკა.

გათუმი

გათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენებელი ქარხნის საამქროებში აგიტატორები და პოლიტიფორმატორები მართავენ საუბრებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადებასთან დაკავშირებით. ადამიანები მხურვალედ განიხილავენ ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის თითოეულ ცალიკეულ ნაწილს.

საწარმოში გაიმართა მიტინგი, რომლის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელმა ღირსეული, დროული და გამაფრთხილებელი პასუხი გასცა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციისა და ნატოს აგრესიულ ბლოკში მისი მოკავშირეების ავანტიერისტულ პოლიტიკას, რომლებმაც დაიწყეს საშუალო სიშორის ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგება ევროპის კონტინენტზე.

— ეს რაკეტები, — თქვა ამწყობმა ზეინკალმა, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს დეპუტატმა ლ. მაკაგონენკომ, — რომლებსაც დაუმიზნებენ საბჭოთა ქალაქებს, ჩვენს სახლებს, საფრთხეს შეუქმნიან ჩვენს აღმშენებლობითს შრომას. გაორკეცებული ენერგიით ვიმუშავებთ ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის.

მიტინგის მონაწილეებმა მიღებულ რეზოლუციაში ერთსულოვნად მოიწონეს და მხარი დაუჭირეს ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის განცხადებას, გამოხატეს მისწრაფება თავიანთი წვლილი შეეტანონ საბჭოთა კავშირის ძლიერების განმტკიცებაში.

ქუთაისი

„მშვიდობა, მსოფლიოს", „დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას", „ვგმობთ იმპერიალიზმის აგბედით გეგმებს", — ასეთი ტრანსპარანტებით შეიკრიბნენ მიტინგზე ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშები და მოსამსახურეები.

სიტყვა ეძლევა საინსტრუმენტო წარმოების ზეინკალს, ლენინის ორდენოსან იაკობ ჯოდამაძეს.

— დღეს ჩვენი ქვეყანა უფრო ძლიერია, ვიდრე ოდესმე ყოფილა, — თქვა მან, — მძლავრია ჩვენი შეიარაღებული ძალები, დანაკარგები მთელი დღისა და ცვლებსშიდა მოცდენების, გაცდენების, დაგვიანების გამო.

სიტყვითა და კოკისპირული წვიმებით მიყენებული მნიშვნელოვანი ზარალის ასანაზღაურებლად. აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგის მშრომელები დარჩენილ პერიოდში ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა წარმატებით დაამთავრონ წელი.

მიმდინარე წელი ცხადყოფს, აღინიშნა კომისიის სხდომაზე, თუ რა მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევა შეიძლება სახალხო მეურნეობის ყველა რგოლის მიზანმიმართული საქმიანობის შედეგად. ამასთან მან აგრეთვე ცხადყო, რომ ყველგან, ყველა საწარმოში და მშენებლობაზე, როდია რომლებიც დგანან ოქტომბრის მონაპოვართა, მშვიდობის სადარაჯოზე, მზად ვართ საკადრისი პასუხი გავცეთ ყოველ აგრესორს, რომელიც ხელს აღმართავს ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ არ გვჩვევია დიალოგი ძალის პოზიციიდან ვაწარმოოდ. აი, რატომ მოვითხოვთ შეჩერდეს გამალებული შეიარაღება, უარი ეთქვას დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე ბირთვული იარაღის განლაგებას. ჩვენ ქუთაისელი ავტომობილმშენებლები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, მზად ვართ საქმით ვუპასუხოთ იერი ვლადიმერის ძე ანდროპოვის განცხადებას. ჩვენი ვალია გაორკეცებული ენერგიით ვიშრომოთ, რათა მომავალი წლის დამდეგს შევუდგეთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ავტომობილების სერიულ წარმოებას, რომელთაც ელის ქვეყანა.

ხარატ შოთა არსენიძის, ინჟინერ-ტექნოლოგ რომან დადუნაშვილის, საინსტრუმენტო საამქროს პარტბიუროს მდივნის რომან კუპუხიძისა და ავტომშენებლების გამოსვლებში გაისმოდა მოწოდებანი მშვიდობის, დამკვრელური მუშაობისათვის კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

ხალხმრავალი მიტინგები გაიმართა აგრეთვე აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში, ელექტромექანიკურ ქარხანაში, კიროვის სახელობის სამკერვალო გაერთიანებაში, ლითოფონის ქარხანაში, პურკომბინატში, ქალაქის სხვა საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში. (საქინფორმი).

საბჭოთა ალპინისტები ბერთვული საფრთხის თავიდან აცილებას

ჩვენ სსრ კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის ალპინიზმის ფედერაციის პრეზიდიუმების თბილისის სპორტული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა სამმაულო ალპინიზმის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საზეიმო სხდომის მონაწილეები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მსურვალედ ვუჭერთ მხარს და ერთსულოვნად ვიწონებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადებას დასავლეთ ევროპაში საშუალო სიშორის ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგებასთან დაკავშირებით.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისა და მისი თანამოაზრე დასავლეთის ქვეყნების მილიტარისტული პოლიტიკის კურსი, რეიგანის ადმინისტრაციის ჰეგემონისტური მისწრაფებანი მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანის სამართლიანად გულისწყრომას, მშვიდობის ბედისათვის საფუძვლიან შეშფოთებას იწვევს. გამალებული შეიარაღების, უწინარეს ყოვლისა, ბირთვული შეიარაღების შეწყვეტის, ბირთვული ომის საფრთხის შემცირებისა და საბოლოო ანგარიშით სრული აღმოფხვრის პრინციპული კურსის ერთგული საბჭოთა კავშირი, როგორც ნათქვამია განცხადებაში, „ყველავეს ყოველ ღონეს იხმარს ამ კეთილშობილური მიზნების მისაღწევად".

ცხოვრებას არაერთხელ დაუდასტურებია: გამალებული შეიარაღება საშიში და უპერსპექტივო საქმეა. დასავლეთის მილიტარისტულ წრეებს არაერთგზის უცდიათ ჩვენი ქვეყნისათვის თავს მოუვიათ თავიანთი ნება, მაგრამ ყოველთვის რწმუნდებოდნენ, რომ საბჭოთა ხალხს ვერავინ დაანშინებს. ამჟამად შექმნილი ვითარებაში საბჭოთა სახელმწიფო განახორციელებს საპასუხო და სრულიად გამართლებულ ღონისძიებებს. ჩვენ, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, რომელნიც აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას და უცვლელად ემყარებიან მშვიდობისა და ჰუმანიზმის პრინციპებს, მტკიცედ ვართ დარწმუნებული: ჩვენ ვვაქვს ყოველივე, რაც საჭირო იმისათვის, რომ გავანელოთ მეტისმეტად გათავხედებული ვაჟბატონების გაფთრება. ბირთვული

ხელოვნება

ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲡᲐᲯᲣᲠᲗᲐᲝᲓ ᲒᲐᲛᲮᲓᲐᲠᲘ

ᲯᲐᲛᲑᲣᲚ ლიპარტიამ 1965 წელს დაამთავრა თბილისის რკინიგზის ტექნიკუმი და განაწილების საგზურით მივიდა თბილისის მახარისხებელი სადგურის სალოკომოტივო დეპოში. ხვი ერთ ხანს ელმავლის მემანქანის თანაშემწედ მუშაობდა. ისე კი, ერთი სული ჰქონდა, როდის წაიყვანდა შემადგენლობას დამოუკიდებლად.

ეს ნანატრი დღე დაუდგა ჯამბულს. პირველად 1971 წელს მიუჯდა ელმავლის საჭეს და მას შემდეგ ყოველი დღე სიხარულის მომტანი იყო მისთვის.

ახალგაზრდა მემანქანემ მალე გაითქვა სახელი თავის კოლექტივში. ამ მოწინავე კომკავშირელზე წერილიც დაიბეჭდა; ამან უფრო წაახალისა ჯამბული, უფრო მუყაითად მოეკიდა საყვარელ საქმეს. მან რამდენჯერმე გაიმარჯვა სოციალისტურ შეჯიბრებაში, მიენიჭა კომუნისტური შრომის დამკვრელის სპეციალური წოდება, 1979 წელს კი სოციალისტური შეჯიბრების ფრიადოსანი გახდა.

ელმავლის მემანქანედ კუთხეევის დღიდან საკმაო წლები გავიდა, ჯამბულისათვის არაგის უთქვამს, შემადგენლობას ვერ განლობთო, ამ ბოლო ხანს ორჯერ უთხრეს უარი რეისში წასვლაზე.

რა მოხდა?

მოხდა ის, რომ ჯერ კიდევ შარშან, ელმავლის მემანქანეებისათვის აშენებულ 72-ბინიანი საცხოვრებელ სახლში ლიპარტიას უარი უთხრეს — ერდოთახიანი არა გვაქვსო, თუმცა იგი საერთო სიაში რიგით მესამე იყო, ხოლო ერთოთახიანის მთხოვნელთა სიაში — პირველი... ლიპარტიამ განცხადებით მიმართა ხელმძღვანელობას — გამონაცვალი ბინა მაინც მომეცითო.

1982 წლის ივლისში ლიპარტიას განცხადების თაობაზე იმსჯელეს თბილისის მახარისხებელი სადგურის სალოკომოტივო დეპოს ადმინისტრაციისა და პროფკავშირის ადგილკომის გაერთიანებულ სხდომაზე და მისცეს ელმავლის მემანქანის ჭანკოტაძის ბინა, რომელმაც ის-ის იყო ოთხი ოთახი მიიღო.

...ჯამბულის სიხარული ნაადრევი გამოდგა. ერთ დღეს შეატყო, რომ ჭანკოტაძე სულაც არ ფიქრობდა ერთოთახიანი ბინის განთავისუფლებას, მოიმიზეზა, დედაჩემი და მეუღლე ერთიმეორეში ვერ რგდებიან. ამიტომ ცოლ-შვილით ოთხოთახიანში ვიცხოვრებ, დედა კი ძველ ბინაში დარჩებაო.

ლიპარტიამ კვლავ განცხადებით მიმართა, მერე პირადად ესაუბრა რამდენიმე ხელმძღვანელს, დახმარება სთხოვა — შეჰპირდნენ, ამ საქმეს მალე მოვაგვარებთო, მაგრამ ჭანკოტაძემ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ვერა და ვერ დაძრეს ადგილიდან.

ამ დავიდარაბაში იყო ლიპარტია, რომ ახალი წყენა მიაყენეს — უთხრეს ერთოთახიანი ბინა მოგვცეს, მაგრამ წერეთელს უნდა მივეცეთო. ამ საუბარში მან სახლის მესამართიც შეიტყო და გაიფიქრა, წავალ ერთი, ვნახავ, რა ბინააო. და აი, დგას ცარიელ ოთახში უბინაო კაცი, ბინის ქირის გადახდით შეღონებული და მის თვალწინ კინოკადრებივით გაირბინეს მწარე დღეების უსიამოვნო ეპიზოდებმა, რომლებიც უბინაობით გახიცადა. ისიც გააცნობიერა, რომ შარშან რამდენიმე რკინიგზელმა თვითნებურად დაიკავა ბინები, რომელთა დროულად განაწილება ხელმძღვანელობამ და საბინაო კომისიამ რატომღაც გააჭიანურეს.

— სადაც ისინი, მეც იქ, — თავისთვის ჩაილაპარაკა უბინაო კაცმა... იგი გვეტაძის ქუჩაზე მდებარე №10 სახლის არაოფიციალური მობინადრე გახდა.

23 თებერვალს ლიპარტიას თავზე დაადგა საბინაო-საექსპლოატაციო კანტორის წარმომადგენელი და შემტეევ ტონით უთხრა: რა უფლებით დაიკავეთ? დაცალეთ ახლავე, ეს ბინა მოქალაქე წერეთელს ეკუთვნისო, და თან ორდერი უჩვენა...

ჯამბული ელდანაკრავივით მივარდა სალოკომოტივო დეპოს ხელმძღვანელებთან... აქ მას თვალებზე აიფარეს თბილისის მახარისხებელი სადგურის სალოკომოტივო დეპოს ადმინისტრაციისა და პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის 1983 წლის 22 იანვრის გაერთიანებული სხდომის ოქმი № 1, რომელშიც შავით თეთრზე ეწერა.

ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲡᲐᲯᲣᲠᲗᲐᲝᲓ ᲒᲐᲛᲮᲓᲐᲠᲘ

... გვეტაძის (ყოფილი მონიავს) № 10 სახლში, 16 კვადრატულმეტრიანი ერთოთახიანი ბინა, რომელიც რკინიგზის თბილისის განყოფილებისა და რკინიგზელთა პროფკავშირის რაიონული კომიტეტის მითითების თანახმად ფონდის 10 პროცენტის ანგარიშში გამოიყო აღრიცხვაზე მყოფი იმ მუშებისათვის, რომლებსაც მძიმე საბინაო პირობები აქვთ, მიეცეს დეპოს პარტიული ორგანიზაციის მდივანს ა. ნ. წერეთელს, რომელიც ბინის მიღების აღრიცხვაზეა 1979 წლის 29 ნოემბრიდან 26-ე ნომრით; ამასთანავე ბინის მთხოვნელთა სიებში დარჩეს ოჯახის წევრებთან ერთად.

როგორი მოსაწონია დეპოს ადმინისტრაციისა და ადგილკომის ეს ერთობლივი გადაწყვეტილება? პირველ შემთხვევაში, როცა ჭანკოტაძეს ბინა ჯერაც არ გაეთავისუფლებინა და ლიპარტიას მისცეს, მეორე შემთხვევაში კი ჯამბულის ბინის საკითხი მოსაგვარებელი იყო და წერეთელი დააკმაყოფილეს!

ჯამბულმა ოქმი რომ წაიკითხა ნერვიულობისაგან თავბრუ დაეხვა, ყურები უწიოდა და არ ახსოვს, როგორ მივიდა შინ. ასეთი ფაქტი რამდენჯერმე გამეორდა. რაღა თქმა უნდა, ამ მდგომარეობაში მყოფ მემანქანეს რეისში არ გაუშვებდნენ, შემადგენლობას ვერ ანდობდნენ...

საგონებელში ჩავარდნილმა ლიპარტიამ კვლავ კალამი აიღო ხელში, 1983 წლის თებერვალში განცხადებით მიმართა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის პროკურორს და გზის ხელმძღვანელობას.

პროკურორმა, იუსტიციის უფროსმა მრჩეველმა ვ. ასეიშვილმა განცხადება შეისწავლა და რკინიგზის თბილისის განყოფილებას მისწერა, რომ გვეტაძის № 10-ში მდებარე საცხოვრებელი ბინით წერეთლის დაკმაყოფილება კანონის უხეში დარღვევა იყო და იგი არ შედიოდა მათ რიგში, ვინც (ამ შემთხვევაში) 10 პროცენტიდან უნდა დაკმაყოფილებულიყო.

გავიდა ხანი, და თბილისის ლენინის რაიასბჭოს აღმასკომიდან ლიპარტიამ ასეთი შეტყობინება მიიღო:

გაცნობებთ, რომ ლენინის რაისაბჭოს აღმასკომის 1983 წლის 18 მარტის № 514 გადაწყვეტილებით დაგმიტკიცდათ თბილისის მახარისხებელი სადგურის სალოკომოტივო დეპოს ადმინისტრაციისა და ადგილკომის 1982 წლის პრეზიდიუმის ივლისის № 13 საოქმო დადგენილებით გამოყოფილი საუწყებო ერთოთახიანი იზოლირებული ბინა (აგჭალის გზატკეცილი № 10-ა და მე-5 სადარბაზო, ბინა 37).

საოცარია, აღმასკომი წერილს უგზავნის ლიპარტიას იმ მისამართზე (გვეტაძის 10), სადაც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ თავისი ადრინდელი გადაწყვეტილებით 16 კვადრატულ-მეტრიან ოთახში ჩაასახლა წერეთლის ოთხწევრიანი ოჯახი!

ეს ამბავი ცალკე იყოს, დააკვირდით? რაშდენ ხანს გაჭიანურდა ლიპარტიას ბინის საკითხის გადაწყვეტა? სად იყო ამდენ ხანს საბუთები ამოდებული? რატომ. რა შეიძლება ვუწოდოთ ამ ფაქტს, თუ არა ბიუროკრატიზმი?

ასე და ამგვარად, თბილისის ლენინის რაისაბჭოს აღმასკომმა დაამტკიცა სალოკომოტივო დეპოს საბინაო კომისიის ორივე გადაწყვეტილება, მაგრამ წლეულს 6 ივნისს ერთიც და მეორეც ისევ გააუქმა და ამ საკითხს, ალბათ, ხელმეორედ დაუბრუნდება.

ლიპარტია კი წერს და წერს განცხადებებს, ძნელია იმ მისამართების ჩამოთვლა, სადაც იგი მათ გზავნის!

როგორც იტყვიან სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო, სწორედ ასეა საქმე. სრულიად ადვილად გადაასაწყვეტი საკითხი მავანისა და მავანის წყალობით საბურთაო გახდა. ლიპარტია კი ეძებს სამართალს და ბინას, მაგრამ ჯერჯერობით ვეღარც ერთს ჰპოულობს და ვეღარც მეორეს. და მიუხედავად ამისა ჩვენ დარწმუნებული ვართ, სოციალური საკითხების კანონიერი გადაწყვეტისადმი გულგრილი, ბიუროკრატიული მიდგომისათვის დამნაშავეები დაუსჯელი არ დარჩებიან.

რ. ᲑᲐᲡᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲖ: თეთრი ქარავანი ყაზბეგის გზებზე.

Ა. ᲩᲐᲠᲙᲘᲐᲜᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲥᲘᲠᲐ — ᲙᲘ! ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐᲨᲘ?

რასაც ახლა გიამბობთ, თითქოს უცნაური ამბავია. მაგრამ სინამდვილეა. შარშან ნემს ბინაზე რადიომ შეწყვეტა მუშაობა. ვთხოვე ადგილობრივ კავშირგაბმულობის ხელმძღვანელობას აღედგინათ ხაზი, მაგრამ ამაოდ. მარტში განცხადება შევიტანე, რომ გამოერთოთ ჩემთვის რადიო. 1982 წელს ჩემს ბინაზე რადიოს მართლაც აღარ უმუშავნია, მიშდინარე წლის თებერვალში ჩემთან მოვიდა განყოფილების გამგე. შემომთავაზა აღმედგინა რადიო. მე თანხმობა განვუცხადე.

გადავიხადე შარშანდელი და წლეკვანდელი თანხა. მეგონა აღმდგენდნენ ხაზს, მაგრამ ამაზე რიდი უფიქრიათ. კავშირგაბმულობის თერჯოლის რაიონულ განყოფილებაში ამბობენ, რომ არ ჰყავთ ხელოსნები საამისოდ. ჩვენ სად ვიშოვოთ ხელოსნები? თუ ჩვენს რაიონში არ შეუძლიათ რადიოს შეკეთება, იქნებ ვინმე ჰოგვაშვილოთ, დაგვეხმაროთ. ფულს თუ გადავიხდიდით, რადიოც უნდა მუშაობდეს.

მ. ᲯᲣᲛᲝᲜᲘᲐ.

პერსონალური პენსიონერი. თერჯოლის რაიონი, სოფელი ლვანკითი.

ᲢᲔᲚᲔᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐᲗᲐ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ

ᲖᲐᲛᲗ აჭარის მთის სოფლებში ძირკვაძეებსა და უჩხოში ვერ ვიღებთ ტელეგადაცემებს. არ დავმალავთ, გამოერევა წელიწადში რამდენიმე დღე, როცა ტელეკანაზე შეიძლება რაიმეს გარკვევა, მაგრამ ეს არის და ეს. ვითხოვდით მიკრორეტრანსლატორების ქსელის დამონტაჟების დროს გათვალისწინებინათ ჩვენი სოფლები, რომ ჩვენც გვესარგებლა თანამედროვეობის ამ სიკეთით, მაგრამ არ გაგვიმართლდა.

აჭარის ასსრ საზელმწიფო საგამო კომიტეტმა 1980 წლის დეკემბერში გამოგვიგზავნა პასუხი, რომ 1980-83 წლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად ჩვენს სოფლებშიც გაუმჯობესდებოდა გადაცემის ხარისხი. მაგრამ თითქმის მიიწურა ეს სამი წელი და საქმე წინ არ დაძრულა.

ჩვენი თხოვნაა, გვიშუამდგომლოთ იმ ორგანიზაციებთან, რომლებსაც ეს ეხება და ბოლოსდაბოლოს, მართალი გვითხრან: მივიღებთ თუ არა საერთოდ ძირკვაძეებსა და უჩხოში ტელეგადაცემას და, თუ მივიღებთ, როდის?

აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფელ ძირკვაძეებში კლუბი არა გვაქვს, არც ავტობუსი დადის სისტემატურად, კინოსეანსებზე და კონცერტებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ამიტომაც არის, რომ ბოლო 15 წლის განმავლობაში 40-მდე კომლი სხვა რაიონში გადასახლდა, აღარც ახალგაზრდობა ჩერდება. თუ ასე გაგრძელდა, შედეგი არ უნდა იყოს საეჭვო, და მაშინ, ალბათ, აღარც კლუბი დაგვჭირდება, აღარც ავტობუსი და აღარც ტელევიზია.

თ. ᲯᲝᲠᲑᲔᲜᲫᲔ, ზ. ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲫᲘᲚᲐᲫᲔ, თ. ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲫᲘᲚᲐᲫᲔ, თ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ.

ᲮᲣᲚᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ.

ᲐᲕᲢᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲝᲫᲕᲔᲚᲓᲐ

ᲐᲛ ბოლო ხანებში ბევრი რამ კეთდება საჩხერის რაიონში მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურების გასაუმჯობესებლად. დიდ ხელშეწყობას გვპირდება რკინიგზის საჩხერის ხაზის გაფართოება. რაიონს ამშვენებს აეროპორტი, თუმცა-ღა, საბოლოოდ, ვერ მოგვარდა აქ თვითმფრინავის ფრენის გრაფიკი.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით გვინდა ერთი საკითხიც გადაწყდეს, ყურადღება მიექცეს ავტობუსების სადგურსაც. იგი დღევანდელ მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებს. მგზავრები ვერ ეტევიან პატარა მოსაცდელ დარბაზში. შეკეთება ესაჭიროება საბილეთო სალაროს. სადგურის დიდი ნაწილი სასაუზმეს უჭირავს. აქ აუცილებელი არ არის ამოდენა სასაუზმე, რადგან სხვა საზვერის ობიექტები იქვე ახლოს მდებარეობს.

ამ კეთილმოწყობილ ქალაქს მართლაც აღარ შეეფერება ასეთი პრიმიტიული კეთილმოუწყობელი ავტოსადგური.

Ა. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ,

საჩხერე. არგვეთი.

ᲐᲡᲬᲠᲔᲛᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲜᲙᲐᲜᲔᲑᲘ

ბედნიერია, ვინც წყაროს ქუჩის დასაწყისში ცხოვრობს. მათ, თურმე, დიდი დიამეტრის მილებით აქვთ გამოყვანილი წყალი, ამბობენ, სასმელ წყალს სარწყავადაც კი იყენებენო, ჩვენამდე როგორ მოაღწევს, იშვიათად თუ გაჩნდება „ცრემლი“ ჩვენი წყლის ონკანებზე.

საოცარი ის არის, ფუღის გადახდის დრო რომ დადგება, დაუგვიანებლივ ცხადდებიან, გვეუბნებიან, რაკი ეზოში ონკანები გაქვთ, წყლის ქირაც უნდა გადაიხადოთო. ეს წყლის ქირა კი არა, ონკანებისა გამოდის! კანონი კი მილს და ონკანს გადასახადს არ უწესებს.

ნუთუ კიდევ დიდხანს გაგრძელდება ასე, ნუთუ არ გამოჩნდება მადლიანი კაცი, რომელიც ყურადღებას მოგვაქცევს?

ნ. ᲘᲝᲜᲘᲫᲔ, შ. ᲜᲔᲛᲘᲨᲐᲫᲔ ნ. ᲛᲔᲛᲫᲐᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘ.

ᲩᲕᲔᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲕᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ...

ᲕᲐᲠ პერსონალური პენსიონერი, დიდი სამამულო ომის მონაწილე, პატარა ვეტერანი. სადაც კი მიმუშავია, ყველგან გულმოდგინედ მიღვაწნია. და, წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდი, როცა თქვენი გაზეთის ფურცელზე იმ გაკრიტიკებულ მოქალაქეთა შორის ვეწერე, რომლებიც დიდი რაოდენობით უსაფუძვლოდ ხარჯავენ სასმელ წყალს. მაგრამ ერთი რამ აუცილებლად უნდა ვთქვა. იმის ცდა, რომ მომეწესრიგებინა ჩემს ბინაში წყალსადენი სისტემა, უძლური აღმოვჩნდი, რადგან თბილისს მაღაზიებში ვერ ვიშოვე ნახევარდიუმიანი ონკანის სკეტები, გადამყიდველმა კი მეტად ძვირად დამიფასა.

ამასთან დაკავშირებით ვინდა საყვედური გამოვთქვა საბინაო საექსპლოატაციო კანტორათა ხელმძღვანელების მიმართ, ისინი ჯერჯერობით არ გვეხმარებიან წყალსადენი სისტემის მოწესრიგებაში, ხშირად არ ზრუნავენ მოშლილი ონკანების შესაკეთებლად. საჭიროა საბინაო-საექსპლოატაციო კანტორამ თავის სამოქმედო უბნის ყველა კორპუსში დააწესოს კონტროლი, გამოყოფილი მუშაკებისაგან იღებდეს ცნობებს დაზიანებული ონკანებისა და სადენების შესახებ და უმალვე ღებულობდეს გადამჭრელ ზომებს მათი შეკეთებისათვის. სწორედ ამ საქმისადმი ასეთი ერთგულებით შეიძლება სასურველ შედეგს მივაღწიოთ, დავზოგოთ დიდი რაოდენობით სასმელი წყალი.

პ. ᲒᲣᲠᲐᲑᲐᲜᲘᲫᲔ,

თბილისი.

ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲖᲔᲐ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ რაიონის სოფელ კეხვის მშრომელები რედაქციას სწერდნენ ტელეფონის ცუდი მუშაობის თაობაზე.

ამის გამო საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილემ ბ. **ᲑᲝᲭᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ**, რედაქციას აცნობა:

წერილში აღნიშნული ფაქტი დადასტურდა. ტელეფონის ცუდი მუშაობა გამოწვეული იყო ტექნიკური კვანძების გაუმართაობის გამო.

ამჟამად, სატელეფონო ავტომატიურ სადგურში ყველა დაზიანება ლიკვიდირებულია — კეხვში ტელეფონი ნორმალურად მუშაობს.

• • •

ლენინის რაიონის სურსათვაჭრობის № 1 უნივერსალურ მაღაზიაში (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ჯ. ტყავაშვილი) სახელმწიფო ვაჭრობის წესების დარღვევის ფაქტებმა მომხმარებელთა აღშფოთება გამოიწვია და ამის შესახებ მათი წერილი მივიღეთ, რომელიც ზომების მისაღებად საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს გადაეგზავნა. მინისტრის მოადგილემ ბ. ნაზღაიძემ რედაქციას აცნობა:

წერილში მოყვანილი ფაქტები საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი სამმართველოს მუშაკებმა შეამოწმეს და გამოვლინდა, რომ თბილისის ლენინის რაიონის სურსათვაჭრობის № 1 უნივერსალური მაღაზიის გამყიდველმა მ. მირზაშვილმა საკონტროლოდ შესყიდულ 13 კოლოფ სიგარეტ „კოსმოსში“ მომხმარებელს გადაახდევინა 10 მანეთი, 9 მანეთისა და 10 კაპიკის ნაცვლად. ამასთანავე მირზაშვილს გადამალული ჰქონდა 116 კოლოფი სიგარეტი „მარლბორო“ და 83 კოლოფი (მაგარი შეფუთვის) სიგარეტი „კოსმოსი“.

შემოწმების შედეგად გამოვლენილი ფაქტების საფუძველზე ინსპექციის მთავარმა სამმართველომ მ. მირზაშვილის შესახებ მასალები გადაუგზავნა თბილისის ლენინის რაიონის პროკურატურას; რაისურსათვაჭრობის ხელმძღვანელობის წინაშე კი დაისვა საკითხი ჯ. ტყავაშვილის თანამდებობიდან დათხოვნის თაობაზე.

• • •

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ რაიონის სოფელ ქვიშის ბაზრის ტელეფონის ცუდი მუშაობის თაობაზე.

ᲐᲛᲘᲡ გამო საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილემ ბ. **ᲑᲝᲭᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ**, რედაქციას აცნობა:

წერილში აღნიშნული ფაქტი დადასტურდა. ტელეფონის ცუდი მუშაობა გამოწვეული იყო ტექნიკური კვანძების გაუმართაობის გამო.

ამჟამად, სატელეფონო ავტომატიურ სადგურში ყველა დაზიანება ლიკვიდირებულია — ქვიშის ტელეფონი ნორმალურად მუშაობს.

• • •

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ვაჭრობის წესების დარღვევის ფაქტებს შეეხებოდა აგრეთვე დუშეთის რაიონის სოფელ ჭილურტიდან გამოგზავნილი წერილი.

ამის თაობაზე რედაქციას უპასუხებს დუშეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი.

წერილში მოყვანილი ფაქტები შეისწავლეს რაიონული გაზეთის რედაქციისა და სახალხო კონტროლის მუშაკებმა. შემოწმების შედეგად გამოვლენილი სახელმწიფო ვაჭრობის წესების დარღვევისათვის დუშეთის გარეუბნის მომხმარებელთა საზოგადოებამ სამუშაოდან გაათავისუფლა გამყიდველი ნ. ჩივაძე.

• • •

ახალციხის რაიონის ქალაქ ვალეს 29-ე პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებმა რედაქციას აცნობეს, რომ არ აძლევენ სტიპენდიის დანამატს და საწარმოო პრაქტიკის დროს გამომუშავებულ ხელფასის 50 პროცენტს.

რედაქციას უპასუხებს ახალციხის რაიონის პროკურატურა:

წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა, 29-ე პროფტექნიკურმა სასწავლებელმა ქალაქ გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების ახალციხის საქსოვი ფაბრიკისათვის მოამზადა 50 მქსოველი.

სასწავლებელი მოსწავლეებს ყოველთვიურად უხდიდა სტიპენდიას 80 მანეთის ოდენობით, ხოლო ქალაქ გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანებას, სასწავლებლის ანგარიშზე თითოეული მოსწავლის სტიპენდიის დანამატის სახით, ყოველთვიურად უნდა გადმერიცხა 40-40 მანეთი. ამასთანავე ყოველ მოსწავლეზე უნდა გაეცა საწარმოო პრაქტიკის დროს გამომუშავებული ხელფასის 50 პროცენტი.

1983 წელს კომბინატმა სასწავლებელს გადაურიცხა ექვსი თვის სტიპენდიის დანამატი 40-40 მანეთი, 1982 სასწავლო წლის სამ თვე-ნახევრის დანამატი 140-140 მანეთი კი არ არის გადმორიცხული. არ გაუნაღდებიათ მოსწავლეთა მიერ საწარმოო პრაქტიკის დროს გამომუშავებული ხელფასის 50 პროცენტი.

ჩვენ სათანადო ღონისძიებანი განვახორციელეთ, რათა გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანებამ დროულად გადმოურიცხოს 29-ე პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებს გასაცემი სტიპენდიის დანამატი და საწარმოო პრაქტიკის დროს გამომუშავებული ხელფასის 50 პროცენტი.

• • •

ტურბაზა „შოვის“ დამსვენებელმა რ. ბარდაველიძემ რედაქციას აცნობა, თუ რა უწესრიგობანია ტურბაზაში, თანაც ისიც აღნიშნა, რომ ამ და სხვა მიზეზების გამო კუთვნილი საგზურით ვერ ისარგებლა და შინ ვადაზე ადრე დაბრუნდა.

ამის გამო პარტიის ონის რაიკომი რედაქციას ატყობინებს:

მოქალაქე რ. ბარდაველიძის სარჩივარში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. ტურბაზა „შოვის“ შეფშზარეულს გამოეცხადა საყვედური, ხოლო სადილის გაცემი გათავისუფლდა სამუშაოდან, დირექტორს გ. ბ. ჩაგელიშვილს კი, რომელმაც ბარდაველიძის მიმართ გამოიჩინა უტაქტობა და უხეშად ესაუბრა მას, პარტიის ონის რაიკომმა მიუთითა და გააფრთხილა, რომ მსგავსი შემთხვევის გამეორებისათვის მის მიმართ მიღებული იქნება მკაცრი ადმინისტრაციული ზომები.

დამსვენებელ რ. ბარდაველიძეს დაუბრუნდა საგზურის გამოუყენებელი დღეების ღირებულება — 144 მანეთი.

• • •

გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველმა ფ. ორმოცაძემ რედაქციას მოსწერა სამტრედიის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში არსებული დარღვევების თაობაზე.

რედაქციას უპასუხებს პარტიის სამტრედიის რაიკომის მეორე მდივანი თ. მიქაძე.

წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. შემოწმების მასალები განიხილა პარტიის სამტრედიის რაიკომის ბიურომ. კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ვ. ხასაია გადარჩეულია თანამდებობიდან და დაედო პარტიული სასჯელი.

პარტიული სასჯელი დაედოთ აგრეთვე ეწერის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ვ. მოსიძეს, ყოფილ თავმჯდომარეს გ. გიორგაიას და ეწერის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ვ. ფხაკაძეს. არადამაკმაყოფილებლად შეფასდა აგროსამრეწველო გაერთიანების საკონტროლო და საბუღალტრო სამსახურების მუშაობა.

• • •

რედაქციაში შემოსულ წერილში საუბარი იყო რესპუბლიკის საავტომობილო სამმართველოს ბაზის პირველი განყოფილებიდან „ამპიცილინის“ გატაცების თაობაზე.

ამის გამო რედაქციას უპასუხებს ქალაქ თბილისის პროკურორის პირველი მოადგილე **Ვ. ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐ:**

საავტომობილო ბაზის პირველ განყოფილებაში ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა 40 ათასი მანეთის დანაკლისი. ამის გამო ქალაქ თბილისის პროკურატურამ, 1983 წლის 7 სექტემბერს აღძრა სისხლის სამართლის საქმე, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 96-ე პრიმა მუხლის შესაბამისად.

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ?

ᲒᲔᲛᲠᲛᲐ, ალბათ, იცის, რომ თბილისის ზღვის მიდამოებში, იქ სადაც ზაფხულობით ათასობით თბილისელი მიდის დასასვენებლად, საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების სანერგე მეურნეობა მდებარეობს. ამ სანერგეს დიდად კეთილშობილური მისია აკისრია — მიაწოდოს მოსახლეობას სხვადასხვა ჯიშის ხეხილის ნერგი, ხილი, ყურძენი.

მეურნეობის უფრო გამართული მუშაობის მიზნით, 1981 წელს დაისვა სანერგეში ხელოვნური დაწვიმების სისტემის შექმნის საკითხი. ამიტომაც ამავე წლის 16 ივნისს ხელშეკრულება დაიდო ჭ. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის „ინეიმშენის“ ტრესტთან. (მმსრთველი — ი. კირკიტაძე). ხელშეკრულების თანახმად, სარწყავი სისტემის მშენებლობა უნდა დამთავრებულიყო 1981 წლის მეორე კვარტალში.

როგორც ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა მოცულობა და ვადები გვიჩვენებს, სამუშაოთა შესრულება მაინცდამაინც რთული საქმე არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ გავიდა 1981 წელი და... 1982 წლის 20 აპრილს „ინეიმშენთან“ კვლავ დაიდო ახალი, გენერალური ხელშეკრულება. ამჯერად უკვე თბილისის სანერგე მეურნეობას ახალი სარწყავი სისტემა იმავე წლის მეორე კვარტალის დამთავრებამდე უნდა ჰქონოდა! უშუალოდ მშენებლობის ხელმძღვანელობა „ინეიმშენის“ ტრესტის დაქვემდებარებულ № 7 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს დაევალა.

ვიფიქრეთ, რომ ამჯერად მაინც დაადგებოდა საქმეს სამუშაოებს, მაგრამ ამაოდ, კარგა ხნის ლოდინის შემდეგ თბილისის სანერგე მეურნეობის დირექციამ კვლავ მიმართა თხოვნით მშენებლებსა და მათ მესვეურთ — „ინეიმშენის“ ტრესტის ხელმძღვანელობას დაეჩქარებინათ სარწყავი სისტემის მშენებლობა, მაგრამ მისი სამართლიანი მოთხოვნა, ზეპირი თუ წერილობითი მიმართვა უყურადღებოდ დარჩა.

სანერგე კი მდგომარეობის გაუმჯობესებლის ნაცვლად მძიმე დღეში ჩავარდა. უწესრიგოდ დაყრილი მილები, გადათხრილი მიწა, თხრილები, რომლებიც ნაგვითა და მიწით ამოივსო, ხელს უშლიდა მუშაობაში მეურნეობის მუშაკებს. თვით მეურნეობამ კი თავისთავად დიდი ზარალი განიცადა. ცხადია, ხელშეკრულება რომ დროულად შესრულებულიყო, ბევრად უკეთესი მდგომარეობა გვექნებოდა მეურნეობის წყლით უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად გაზრდიდა ნერგების რიცხვს. და თუ იმასაც გავითვალისწინებთ რომ სარწყავი სისტემა 1981 წლის ზაფხულში უნდა ამოქმედებულიყო, გამოდის, რომ სანერგემ, მშენებელთა გულგრილობისა და უყაირათობის გამო, მარტო ნერგებზე დაახლოებით 120 ათასი მანეთი იზარალა,

რამ განაპირობა საქმისადმი მშენებელთა ასეთი გულგრილი დამოკიდებულება, ჩვენი აზრით, ყოველივე ეს ქვემოჯარე № 8 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს (უფროსი — გ. ჩხაიძე) მოუქნელი მუშაობის შედეგია. იგი ხან მექანიზმების, ხან კიდევ ელექტრომოწყობილობის უქონლობას იმიზეზებს. და ამ მიზეზების ძებნაში არ სრულდება ხელშეკრულება, ჭიანურდება სამუშაოები. ყოველივე ამის შედეგად ჩვენს დედაქალაქს სათანადო რაოდენობით ვერ ვიწვდით სხვადასხვა ჯიშის ხეხილის ნერგებს, ხილს, ყურძენს.

ვფიქრობთ, ეგებ ამჯერად მაინც დაადგეს საშველი დაპირების შესრულებას.

ნ. ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔ,

საქართველოს სსრ ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის განყოფილების გამგე.

ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲝᲯᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲓᲦᲔᲝᲓ

რეპლიკაციაში მრავალი წერილი შემოდის მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის სისტემათა თაობაზე. **ავტორთა დიდი ნაწილი** გვთხოვს, განვუმარტოთ პენსიაზე 20 პროცენტის დანამატის დარიცხვის წესი. ახალგაზრდებს კი სურთ იცოდნენ, გაუმჯობესდება თუ არა ჩვილბავშვიან, მრავალშვილიან დედათა და ახალდაქორწინებულთა საყოფაცხოვრებო პირობები მეთერთმეტე ხუთწლეულში.

ეს წერილები განვიხილეთ და რამდენიმე ერთნაირი ხასიათის შეკითხვებს პასუხი გასცა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს პენსიათა და დახმარებათა სამმართველოს უფროსის მოადგილემ, გაზეთ „კომუნისტის“ საზოგადოებრივი მისაღების წევრმა **ᲘᲠᲘᲜᲔ ᲦᲚᲝᲜᲔᲛᲐ.**

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: ვიღებ მოხუცებულობის პენსიას თვეში 120 მანეთს და კვლავ ვმუშაობ პედაგოგად. მაქვს ერთ სისტემაში შემავალ სხვადასხვა სკოლაში მუშაობის 38 წლის უწყვეტი სტაჟი. პენსიაზე 10 პროცენტი უკვე დარიცხული მქონდა. ახალი კანონმდებლობის შესაბამისად მოვითხოვე კიდევ 10 პროცენტის დამატება 1983 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ უარი მითხრა.

**გთხოვთ განმიმარტოთ, სწორია თუ არა მათი მოქმედება და მეკუთვნის თუ არა 20 პროცენტი დანამატის დარიცხვა 1983 წლის 1 ი

30 ნოემბერი

ულტიმატუმი

ფაქტები მოვლენები

საკლესიო იუფყეება

მეტი პროდუქცია მელიორირებულ მიწებზე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა კომისიის მორიგ სხდომაზე განიხილეს მელიორირებული მიწების ეფექტიანობის ამაღლების, 1984 წელს ამ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდის შესახებ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის წყალთა მეურნეობის სამინისტროს წინადადებანი იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა დასახა სარწყავი და დაშრობილი სავარგულების სწრაფი და დიდი უკუგების უზრუნველყოფის საქმეში.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების პრეზიდიუმების აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა კომისიების, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტსა და რესპუბლიკურ (ასსრ), სამხარეო, საოლქო და რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა საბჭოებს დაეგალათ გასწიონ მუშაობა, რათა სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში მოაქციონ მთელი გამოუყენებელი სარწყავი და დაშრობილი სავარგულები, ყოველ მეურნეობაში დააზუსტონ სათესი ფართობების სტრუქტურა, განაზორციელონ ღონისძიებანი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მაღალხარისხოვანი თესლით უზრუნველყოფისათვის, უმოკლეს ვადაში დაამთავრონ სარწყავი და დასაწვიმებელი ტექნიკის რემონტი.

მელიორირებული მიწების მჭონე მეურნეობებს გამოუყონ საჭირო რაოდენობის მინერალური სასუქები, პესტიციდები და სხვა მატერიალური რესურსები. განსაზღვრულია დავალებანი 1984 წლისათვის მარცვლეული და სამკვებო კულტურების დაპროგრამებული მოყვანისათვის.

დასახულია ამოცანა ფართოდ დაინერგოს ბრიგადული იჯარა, გაუმჯობესებულ მიწებზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების სამუშაოებზე შრომის ანაზღაურების პროგრესული ფორმები. მეურნეობები დაკომპლექტდეს დასაწვიმებელი მანქანებისა და სატუმბი სადგურების ოპერატორების, მემანქანეების კვალიფიციური კადრებით.

კომისიის სხდომის მუშაობაში, რომელსაც თავმჯდომარეობდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. ნ. ნურიევი, მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სახმომარაგების პასუხისმგებელი მუშაკები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების პრეზიდიუმების აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა კომისიების თავმჯდომარეები, მთელი რიგი საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური (ასსრ) აგროსამრეწველო გაერთიანებათა საბჭოების თავმჯდომარეები, დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, მეცნიერები.

კომისიის სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

(საკდესი).

სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტში

სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად აცხადებს, რომ 1983 წლის 1 დეკემბრიდან მცირდება ზოგიერთი სახალხო მოხმარების საქონლის სახელმწიფო საცალო ფასები.

გათვალისწინებულია შემცირდეს საცალო ფასები:

ხალიჩებისა და ხალიჩის ნაწარმისა — საშუალოდ 20 პროცენტით;

კრავეულის ნაწარმისა— საშუალოდ 30 პროცენტით, წაულისა (საყელოების გარდა) და სიასამურის ტყავეულისა — საშუალოდ 26 პროცენტით;

ფერადი გამოსახულების ტელევიზორებისა („ტემპი“, „რუბინი“ და „რადუგა“ ცალკეული მარკების ტელევიზორების გარდა) და გადასატან შავ-თეთრი გამოსახულების ტელევიზორებისა — საშუალოდ 17 პროცენტით;

ცალკეული მარკების რადიოსაქონლისა — საშუალოდ 13 პროცენტით;

ცალკეული მარკების საყოფაცხოვრებო მაცივრებისა — საშუალოდ 15 პროცენტი;

კინოფოტოაპარატურისა („ფედისა“ და „კიევის“ მარკების ფოტოაპარატების გარდა) — საშუალოდ 19 პროცენტით და ზოგიერთი სხვა კულტსაქონელისა — საშუალოდ 25 პროცენტით;

საისრე ინდიკაციანი კვარცის მაჯის საათებისა — საშუალოდ 30 პროცენტით.

საცალო ფასების შემცირების საერთო თანხა ერთ წელზე გაანგარიშებით შეადგენს 2,6 მილიარდ მანეთს.

ხალხის კეთილდღეობისათვის

საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ლენინური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვის დამაჯერებელი დადასტურება გახდა ზოგიერთი ნაწარმისა და საქონლის საცალო ფასების მნიშვნელოვნად შემცირება, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საჭიროდ მიიჩნიეს განახორციელონ მომდინარე წლის 1 დეკემბრიდან. ხორციელდება საბჭოეთის ეკონომიკური კურსი, რომელიც შემუშავებულია პარტიის XXVI ყრილობაზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებით.

საკდესის კორესპონდენტმა სთხოვა სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ნ. ტ. გლუშკოვს განემარტა ეს მასშტაბური აქცია, რომელიც მილიონობით მშრომელის ინტერესებისათვის ხორციელდება.

— პატივცემულო ნიკოლოზ, რა ფაქტორები განსაზღვრავს სახალხო მოხმარების საქონლის ფასების პოლიტიკას ჩვენს ქვეყანაში?

— ამ საქონლის ფასებმა სტიმული უნდა მისცეს ისეთი ასორტიმენტის პროდუქციის წარმოებას, რომელიც უმტესად შეესაბამება მოსახლეობის გონივრულ მოთხოვნილებებსა და მოთხოვნას, ხელს შეუწყობს პარტიისა და მთავრობის მიერ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლებისათვის დასახულ ამოცანათა გადაწყვეტას.

საბრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, საბინაო მშენებლობის, საცალო საქონლბრუნვის, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ფულადი შემოსავლის განუხრელმა ზრდამ, დიდი სოციალური პრობლემების გადაჭრამ შესაძლებელი გახადა თითეული ადამიანის მატერიალური კეთილდღეობის, კულტურისა და ყოფა-ცხოვრების თვისებრივად ახალ დონეზე აყვანა. საბჭოთა ადამიანები უკეთ იკვებებიან, უფრო ლამაზად იცვამენ, არსებითად გაიზარდა მუშაობისგან თავისუფალი დრო, უფრო კომფორტული გახდა ბინები და გაუმჯობესდა ყოფის პირობები, უფრო შინაარსიანი და სრულფასოვანია დასვენება, მოსახლეობის რეალური შემოსავალი ბოლო 20 წელიწადში ერთიორად და მეტად გაიზარდა. ახალი თვისებრივი განვითარება პოვა სოციალურმა უზრუნველყოფამ. მთლიანად პენსიების სახით ახლა წელიწადში დაახლოებით 37 მილიარდი მანეთი გიიცემა.

ყველა საბჭოთა ადამიანი უფასოდ სარგებლობს სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, ბიბლიოთეკებისა და მრავალი სხვა სასწავლო, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამედიცინო და სპორტული დაწესებულებების სამსახურით, რომლებიც მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების ხარჯზე არიან, განაცემებმა და შეღავათებმა, რომელსაც მოსახლეობა მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან იღებს, 1982 წელს შეადგინა 128 მილიარდი მანეთი, ანუ ერთ კაცზე გაანგარიშებით დაახლოებით 470 მანეთი.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული საბინაო პრობლემის გადაჭრაში. მარტო 1970 წლიდან ქვეყანაში აშენებულია დაახლოებით 1300 მილიონი კვადრატული მეტრი ბინა, რაც საბჭოთა ხელისუფლების მთელი წლების მანძილზე საეკსპლოატაციოდ გადაცემული ბინების მესამედს აღემატება. ახლა ქალაქის მოსახლეობის დაახლოებით 80 პროცენტი ცალკე ბინებში ცხოვრობს. გაუმჯობესდა მათი დაგეგმარება და კომფორტულობა.

ბინის ქირა, ტრანსპორტის, კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების საფასური შენარჩუნებულია მინიმალურად დაბალ დონეზე, რომელიც ხელმისაწვდომია მოსახლეობის ყველა ფენისათვის, ხოლო ამ მიზნებისათვის ფაქტობრივი ხარჯების დაახლოებით სამოცდაათ პროცენტს, ანუ წელიწადში 8 მილიარდ მანეთზე მეტს სახელმწიფო ანაზღაურებს საზოგადოებრივი მოხმარების ფონდებიდან.

ნიადაგ ფართოვდება საბჭოთა ადამიანის მოთხოვნილებანი, იზრდება მოსახლეობის მოთხოვნა მოდერნ ტანსაცმელზე, ფეხსაცმელზე, ტუალეტის საგნებზე, პარფიუმერიაზე, რადიოსატელევიზიო და სხვა რთული საოჯახო ტექნიკის სიახლეებზე, მოხერხებულ ლამაზ ავეჯსა და მრავალ სხვა ნაწარმზე. ეს თვალნათლივ მოწმობს ხალხის კეთილდღეობის განუხრელ გაუმჯობესებას.

ყოველი საბჭოთა ადამიანი ხედავს, თუ რაოდენ წინ წავიდა ქვეყანა მშრომელთა გონივრული მოთხოვნილებების უზრუნველყოფისათვის საჭირო მეტი წილი საქონლის წარმოებაში. შენარჩუნებულია ძირითადი საქონლის საცალო ფასების სტაბილურობა. მაგალითად, პურისა და ყველა პურპროდუქტის ფასი შენარჩუნებულია 1954 წლის დონეზე, ხორცისა და რძის პროდუქტებისა — 1962 წლის დონეზე. ბოლო 28 წელიწადში ცალკეულ სახეობათა საქონლის ფასების საერთო ზრდამ შეადგინა სულ 9 პროცენტი, მაშინ როცა ხელფასი ამ ხნის მანძილზე 2,5-ჯერ გაიზარდა და ბოლო 13 წელიწადში კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება 1,7-ჯერ გადიდდა.

ამასთან უნდა შეგახსენოთ, რომ 1983 წლის 1 თებერვლიდან ფასების გადიდების თანხამ შეადგინა დაახლოებით 4 მილიარდი მანეთი, ხოლო შემდეგ, 1983 წლის 25 აპრილსა და 1 სექტემბერს ზოგიერთი საქონლის ფასები შემცირდა თითქმის 3 მილიარდი მანეთით. და აი ახლა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ მიიღეს გადაწყვეტილება 1983 წლის 1 დეკემბრიდან კიდევ შეამცირონ საცალო ფასები 2,6 მილიარდი მანეთით, რაც მთლიანად ფარავს 1983 წლის თებერვალში ფასების გადიდებას, ხოლო წელიწადზე გაანგარიშებით მოსახლეობის მოგება 1,6 მილიარდ მანეთზე მეტს შეადგენს.

სამომხმარებლო საქონლის წარმოების გადიდებისა და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის საჭირო პირობების შექმნის კვალობაზე შემდგომშიც შემცირდება საცალო ფასები.

განსაკუთრებით მინდა გავუსვა ხაზი იმს, რომ საცალო ფასების ახლანდელი შემცირება ხდება ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეების ბირთვული კატასტროფისაკენ უბიძგებს. მრავალი ქვეყნის პრესა, თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, რომლებიც განმარტავენ ამ უაღრესად მნიშვნელოვან დოკუმენტს, ხაზს უსვამენ: ახორციელებს რა თავისი უშიშროების უზრუნველყოფის საჭირო ღონისძიებებს ვაშინგტონისა და ნატოს საშიშ მილიტარისტულ კურსთან დაკავშირებით, საბჭოთა კავშირი კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს, რათა თავიდან აიცილოს მსოფლიოს ბირთვული ომის საფრთხე, შეუნარჩუნოს მშვიდობა ახლანდელ და მომავალ თაობებს.

დასავლეთ ევროპაში ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგების დაწყებასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადება მსოფლიო საზოგადოებრიობას მიაჩნია მშვიდობის შენარჩუნებისა და გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის პრინციპული კურსისადმი საბჭოთა კავშირის ერთგულების დადასტურებად და იმათ მიმართ სერიოზულ გაფრთხილებად, ვინც მსოფლიოს

სერიოზული გაფრთხილება

ახალი ამერიკული რაკეტების განლაგებამ და საბჭოთა კავშირის იძულებითმა საპასუხო ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად გაართულა ევროპასა და მსოფლიოში, წერს მოწინავე სტატიაში **უნგრული „ნეპსავა“**. მაგრამ ჯერ კიდევ არის გამოსავალი. საბჭოთა კავშირი, ხაზი გაუსვა თავის განცხადებაში ი. ვ. ანდროპოვმა, ერთგულია პრინციპული კურსისა — გამალებული შეიარაღების, უწინარეს ყოვლისა ბირთვული შეიარაღების შეწყვეტის კურსისა. ეს პოზიცია ნაკარნახევია საღი აზრით და გამოხატავს ღრმა პასუხისმგებლობას კაცობრიობის ბედისათვის, ქვეყნად მშვიდობისა და უშიშროებისათვის. იგი გამოხატავს ყოველი მშვიდობისმოყვარე ადამიანის ნებას.

ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი ადმინისტრაციის პროვოკაციებისა და მუქარის დანაშაულებრივი პოლიტიკის ღირსეულ პასუხს უწოდებს ი. ვ. ანდროპოვის განცხადების **კუბის „ხუვენტუდ რებელდე“**. თავხედური და უპასუხისმგებლო მოქმედება ვაშინგტონისა, რომელიც შეუდგა ევროპაში ახალი ბირთვული რაკეტების განლაგებას, აღნიშნავს გაზეთი, რეალურ და სერიოზულ საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობასა და კაცობრიობის არსებობას. ამიტომ დროული და საჭირო იყო საბჭოთა ხელმძღვანელის აწონ-დაწონილი და მტკიცე სიტყვები, რომელმაც გამოაცხადა ევროპაში ძალების წონასწორობის შენარჩუნებისა და სოციალისტური ქვეყნების უშიშროების უზრუნველყოფისათვის გამიზნული სსრ კავშირის საპასუხო ღონისძიებანი. რეგანის აგრესიულ, საიმპერიო პოლიტიკას საბჭოთა კავშირმა დაუპირისპირა მტკიცე და პრინციპული კურსი, რომლის მიზანია ომის თავიდან აცილება და კაცობრობის ხსნა.

დასავლეთ ევროპაში ახალი რაკეტების განლაგებისადგილ ვაშინგტონის პრაქტიკული მოქმედება ევროპის საზოგადოებრიობის გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს, ხაზს უსვამს **ფრანგული „ლუმანიტე“**, ესპანეთშიც კი, ქვეყანაში, სადაც არ არის გათვალისწინებული არც „პერშინგები“, არც ფრთოსანი რაკეტების განლაგება, მოსახლეობის 74 პროცენტი გადაჭრით ილაშქრებს ევროპის კონტინენტზე ამერიკული რაკეტების განლაგების წინააღმდეგ.

ჰოლანდიის პარტიამ „დემოკრატები-66“ ჰააგაში გამართულ თავის ყრილობაზე გაილაშქრა ქვეყანაში ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგების წინააღმდეგ. მრავალ ადგილას ამერიკული ბირთვული ბომბდამშენები, ტანკსაწინააღმდეგო ტანკები, ბალისტიკური ტორპედოებიანი ატომურ-ელექტრონული ფლოტილიები, ბირთვული ნაღმებიანი ბომბები, ბირთვული ბომბებიანი ტანკები, ბირთვული ბომბებიანი

ხელოვნის მოქალაქეობრივი მაჯისცემა

ჯრიან ადამიანები, რომელთა ნებხსყოფა, ჰკუა და ნიჭი უადრესად ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს. ასეთნი ბევრნი არ არიან. მაგრამ, უდავოდ, ერთ-ერთი მათგანი იყო დიდი რუსი მსაზიობი ა. ი. სუმბათოვ-იუჟინი.

ტიატრს პირველად იუჟინი ჯერ კიდევ სიყრმისას გაეცნო, საქართველოში, მამის მამულში, სადაც პროვინციული მსახიობები ჩადიოდნენ. შემდგომში, როცა თბილისის გიმნაზიაში გიიცნო ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკო, რომელიც იქვე სწავლობდა, თეატრმა კიდევ უფრო მოიკიდა ფეხი მის ცხოვრებაში. და ბოლოს, 1877 წელს პეტერბურგს მიმავალმა, სადაც მამის რჩევით უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე უნდა შესულიყო, იუჟინმა მცირე თეატრის სპექტაკლი ნახა და მტკიცედ გადაწყვიტა მსახიობი გამხდარიყო. გადაწყვეტა და გახდა კიდეც. თანაც არა უბრალოდ მსახიობი, არამედ რუსეთის საუკეთესო თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი. შემდეგ იგი დრამატურგი, მცირე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, მისი „სანატორ დირეკტორი“, გამოჩენილი თეატრალური და საზოგადო მოღვაწეა.

ასეთია მისი ბიოგრაფიის ფაქტები, რომლებიც ყველამ იცის, და, ერთი შეხედვით, იქნებ მოგეჩვენოთ კიდეც, თითქოს იუჟინის ცხოვრება მეტისმეტად იოლად წარიმართა. მაგრამ რაიმე მიზნის დასახვისა და ამ მიზნის მიღწევის უნარი ყველას როდი აქვს.

დ. ჩხეიკვიშვილის წიგნში „ა. ი. სუმბათოვ-იუჟინი“*, რომელიც ჯერ-ჯერობით პირველი კაპიტალური ნაშრომია ამ უნიკალური მსახიობისა და ადამიანის შესახებ, დაწვრილებით არის ასახული უზარმაზარი ტალანტისა და პიროვნების გზა მოწოდების ხორცშესხმისაკენ. გულმოდგინებამ, რომლითაც დაწერილია ეს წიგნი, არ შეიძლება ღრმა კმაყოფილება, პატივისცემა და მადლიერება არ გაგრძნობინოს მისი ავტორისადმი.

„იყო პოეტი, არ ხარ მოვალე, მოქალაქე კი აუცილებლივ!“, — ნეკრასოვის ეს სიტყვები უკვე ქრისტომათიული გახდა. მაგრამ თუ შენ არა მარტო მოქალაქე, არამედ ხელოვანიც ხარ, შენი მაჯისცემა ასჯერ. უფრო აქტიურად გაეხმიანება დროის მაჯისცემას, შენი ხალხისა და მთელი შენი ქვეყნის მაჯისცემას. სწორედ ასეთი ხელოვნის მაჯისცემა ახასიათებდა ა. ი. იუჟინს. მეცნიერებათა აკადემიის, დიდი და სამხატვრო თეატრების სამეფო წევრმა, მან მცირე თეატრის სცენაზე 250-მდე როლის შესრულება მოასწრო. მათ შორის ჩაცკი და მუროვი, კრეჩინსკი და ფამუსოვი, ოტელო და იაგო, ტელიატევი და ბოლინგბროკი, რიჩარდ III და მრავალი სხვა. მისი აქტიორული დიალაზონი თანამედროვეებს ნაკლებ როდი აოცებდა და აღაფრთოვანებდა, ვიდრე მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის მასშტაბები. სუმბათოვ-იუჟინის მხოლოდ ერთისა და მეორის სინთეზში შეეძლო არსებობა. იგი მთელი თავისი პიროვნული არსით დაუცხრომელი მოღვაწე და მებრძოლი იყო და ეს თვისებები გასდევს მთელ მის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

იგი იბრძოდა ხელოვნებაში რეალიზმისათვის, „რეალისტური რომანტიზმის“ ესთეტიკისათვის, რომელსაც შემდგომში თეატრმცოდნეობაში „სუმბათოვის თეატრალური ესთეტიკა“ ეწოდა, ებრძოდა რელიგიურ ფილოსოფიას ვ. ს. სოლოვიოვის სახით. იბრძოდა დიდ კლასიკური მემკვიდრეობის შენარჩუნებისათვის, თავის პოზიციებს იცავდა „ახალ“ და „ძველ“ ხელოვნებას შორის დავაში. ებრძოდა დრამატურგიულ მაკულატურას, იღვწოდა რეპერტუარის სიწმინდისათვის, მისი მხატვრულობისა და იდეურობისათვის. და არა მარტო იბრძოდა, არამედ, მცირე თეატრის დირექტორობის დროს, სათავეში ედგა ამ ბრძოლას, მისი ლიდერი, ყველა წამოწყების მოთავე იყო.

აი, რატომ არის, რომ დ. ჩხეიკვიშვილის წიგნი უწინარეს ყოვლისა მატიანეა ბრძოლით აღსავსე ცხოვრებისა, რომელსაც ვერა და ვერ უწოდებ იოლსა და ულრუბლოს. მაგრამ ამ წიგნით ჩვენ ვეცნობით არა მარტო იმ ადამიანის თვისებებსა და მოღვაწეობას, რომელსაც, საკუთრივ, ეძღვნება ეს მონოგრაფია. მის გვერდით წიგნის ფურცლებზე ცოცხლდებიან ერმოლოვისა და ლენსკის, ოსტუჟევისა და იურევის, ჩეხოვის, ტოლსტოისა და ბრიუსოვის, სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს, გორკის, ლუნაჩარსკისა და მრავალთა სხვათა სახეები, რაც თავისთავად ფასდაუდებელი წვლილია ჩვენი თეატრისა და მთელი ჩვენი ქვეყნის ისტორიის საგანძურში.

ისტორიის ცოცხალი ფურცლები უაღრესად საინტერესო დეტალებით წარმოისახება ჩვენ წინაშე მრავალი საარქივო დოკუმენტებისა, რომლებიც ფაქთოდ გამოუყენებია ავტორს ამ წიგნში. დ. ჩხეიკვიშვილი, რომელიც ისტორიის ჭანვითარების კანონების ღრმა ცოდნას ავლენს, გვევლინება აგრეთვე როგორც მეცნიერი ისტორიკოსი, რის გამოც იუჟინის სახე იზოლირებულად კი არ წარმოგვიდგება, არამედ მთელი ისტორიული ეპოქის ფონზე, იმ ეპოქისა, რომელშიც მკვიდრდება მარქსიზმი და სოციალ-დემოკრატიული მუშაობა მოძრაობა, როცა ემხობა ცარიზმი და ხდება ოქტომბრის რევოლუცია.

პრესაში თავისი მრავალი წერილიდან ერთ-ერთში იუჟინი წერდა: „მე მცირე თეატრის ცხოვრებით ვსულდგმულობ... მე მასთან ვარ შერწყმული მთელი ჩემი, მისთვის მიძღვნილი ცხოვრებით და განუყოფელად დავრჩები მასთან სიკვდილის შემდეგაც“.

იუჟინი მართლაც ჩვენთან ერთად ცხოვრობს დღეს, და არა მარტო თეატრთან, არამედ მთელ ჩვენ ქვეყანასთან და მის დიად კულტურასთან ერთად, რომელსაც ასე ბევრი რამ მისცა. ამის დასტურია ეს წიგნიც, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, ხალხის მეხნიერი ხსოვნამ შვა.

მ. ცარიოვი,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სოციალისტური შრომის გმირი.

„სოვეტსკაია კულტურა“, 1983 წ. 24 XI.

* **დ. ი. ჩხეიკვიშვილი. ალექსანდრე ივანეს ძე სუმბათოვ-იუჟინი. თბილისი, 1982 წ.**

ქვეყნისა და მეცნიერების ერთგულებით



პროფესორ გიორგი გველესიანის დაბადების 80 წლისთავის გამო

იგი იმ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც საუკეთესოდ უთავსებენ ერთმანეთს პრაქტიკოსისა და მკვლევარ-მეცნიერის შესანიშნავ თვისებებს. გიორგი გველესიანმა განსაკუთრებული ღვაწლი დასდო საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარებისა და განლაგების სახელმწიფო გეგმების შემუშავებას, ეკონომიკური და ეკონომიკა-გეოგრაფიის მეცნიერების განვითარებს. მის სახელთან არის დაკავშირებული ჩვენს რესპუბლიკაში არა-ერთი მსხვილი სახალხო-სამეურნეო ობიექტის მშენებლობის დასაბუთება, უაღრესად პასუხსაგები წინასწარი საპროექტო სამუშაოების განხორციელება. 50 წელზე მეტი ხნის მანძილზე სწავლული ერთგულად ემსახურებოდა თავისი საყვარელი სამშობლოს სამეურნეო და კულტურული აღმავლობის პატრიოტულ საქმეს.

გ. გველესიანი 1903 წელს დაიბადა ქუთაისში ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის გრიგოლ გველესიანის ოჯახში. 1928 წელს მან წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. ამის შემდეგ წლების მანძილზე ნაყოფიერად მუშაობდა საგეგმო ორგანოებსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, სადაც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის საქმეში დიდი გამოცდილება შეიძინა.

ამერიკაკავკასიის სახალხო მეურნეობის საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიაში მუშაობის წლებში გ. გველესიანი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების პრობლემათა დამუშავებაში (გენერალური გეგმები, ცალკეული დარგების მსხვილი მშენებლობანი და სხვა). მან ირაკლი მიქელაძესთან ერთად სხვადასხვა დროს შეადგინა საქართველოს უმსხვილესი ინდუსტრიული ობიექტების მშენებლობის ეკონომიკური დასაბუთება, კერძოდ, რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის განვითარების, რუსთავის მეტალურგიული, ქუთაისის საავტომობილო ქარხნების მშენებლობის დასაბუთება და სხვა. იგი უშუალოდ მონაწილეობდა რესპუბლიკის მსხვილი ქალაქების განვითარების გენერალური გეგმის შემუშავებაში.

საგეგმო ორგანოებში მოღვაწეობას გ. გველესიანი ყოველთვის ნაყოფიერად უხამებდა მეცნიერულ მუშაობას; სისტემატურად კითხულობდა სამეცნიერო მოხსენებებს, წერდა სტატიებს, აქტიურად თანამშრომლობდა საწარმოო ძალთა შემსწავლელ საბჭოში, რომლის მუდმივი წევრიც გახლდათ.

მეცნიერისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი იყო წლები, როცა ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ეკონომიკური გეოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელად მუშაობდა. 25 წლის მანძილზე ენერგიულმა, დაუღალავმა მოღვაწეობამ მას ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი ეკონომისტი-გეოგრაფის სახელი მოუხვეჭა როგორც ჩვენში, ისე უცხოეთის სამეცნიერო წრეებში.

გ. გველესიანის ძირითადი მეცნიერული დამსახურებაა ჩვენს რესპუბლიკაში ეკონომიკურ — გეოგრაფიულ გამოკვლევათა ფართოდ განვითარება და მეცნიერების ამ დარგში ლიტერატურის მრავალტომიანი ფონდის შექმნა.

მეცნიერის უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით შექმნილი და გამოცემული ორალელი შრომა, რომლებიც რესპუბლიკის საწარმოო ძალთა განვითარება-განლაგების პრობლემებს მოსახლეობისა და ქალაქების გეოგრაფიის, სამრეწველო კვანძების ფორმირების, ეკონომიკური გეოგრაფიის ზოგადი თეორიის, ეკონომიკური დარაიონებისა და სხვა საკითხებს ეძღვნება. მისი ხელმძღვანელობით მომზადებულ და მასობრივი ტირაჟით გამოქვეყნებულ შრომებში მოცემულია საქართველოსა და მისი ცალკეული რეგიონების ბუნების, მოსახლეობისა და მეურნეობის კომპლექსური დახასიათება. ამ სერიის წიგნები გამოიცა ქართულ, რუსულ, უკრაინულ, ფრანგულ, ინგლისურ ენებზე, რამაც საშუალება მისცა სპეციალისტებსა და დაინტერესებულ მკითხველს გასცნობოდნენ საქართველოს გეოგრაფიას, მის ეკონომიკასა და კულტურას. ამ სერიის არაჩვეულებრივ გამოცემამ საკავშირო და რესპუბლიკური ჯილდოები დაიმსახურა.

გ. გველესიანი 100-ზე მეტი გამოქვეყნებული და 30-მდე გამოუქვეყნებელი მეცნიერული შრომის ავტორია. შრომების ძირითადი ნაწილი გამოცემულია მონოგრაფიების, სტატიების, საენციკლოპედიო წერილების სახით. სწავლული აქტიურად თანამშრომლობდა დიდ საბჭოთა და ქართულ, აგრეთვე სხვა ენციკლოპედიების რედაქციებში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მეცნიერის მონოგრაფიები: „წარმოების სოციალისტური განლაგების საფუძვლები. შესახებ“ და „სოციალისტური წარმოების განვითარება და განლაგება საქართველოს სსრ-ში“. პირველ წიგნში გაშუქებულია სოციალიზმის დროს წარმოების ტერიტორიული ორგანიზაციის თეორიული საკითხები და წამოყენებულია ზოგიერთი ახალი მოსაზრება. მეორე შრომაში ნაჩვენებია, თუ როგორია სოციალისტური წარმოების განლაგების ძირითადი კანონზომიერებებისა და პრინციპების გამოვლენის ფორმები საქართველოს კონკრეტულ ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებში.

ქართველ მეცნიერთა შორის 60-იან წლებში გ. გველესიანმა ერთ-ერთმა პირველმა გაამახვილა ყურადღება საერთო-საკავშირო დონესთან შედარებით საქართველოს მეურნეობრივ ჩამორჩენაზე და მკვეთრად დასვა რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ღონისძიებათა საკითხი.

მეცნიერს მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოს სსრ გეოგრაფიული ატლასის შექმნაში.

პროფესორ გ. გველესიანის შრომებმა და, საერთოდ, მთელმა მისმა მოღვაწეობამ სათანადო აღიარება პოვა. საბჭოთა კავშირში იგი ცნობილი იყო როგორც გამოჩენილი ქართველი ეკონომისტ-გეოგრაფი, საწარმოო ძალთა განლაგების საკითხების ჩინებული სპეციალისტი.

საქართველოს სსრ გეოგრაფიული ატლასის შედგენაში აქტიური მონაწილეობისათვის 1971 წელს მეცნიერს საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა, ეკონომიკურ-გეოგრაფიულ მეცნიერებაში დიდი დამსახურებისათვის მიიღო საქართველოს გეოგრაფთა საზოგადოების მიერ დაწესებული აკადემიკოს ა. ჯავახიშვილის სახელობის პრემია.

პროფესორი გ. გველესიანი, მართლაც რომ, გამოირჩეოდა სანიმუშო მოქალაქეობრივი თვისებებით. იგი იყო საზოგადოებრივი მოვალეობის გრძნობით აღსავსე, უაღრესად თავმდაბალი კაცი, თავისი კოლეგებისა და მოწაფეების მიმართ მუდამ ყურადღებიანი და გულისხმიერი, რის გამოც მათ გულწრფელ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა. ამიტომაც იგონებს დღეს ასეთი პატივისცემით მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ გიორგი გველესიანის სახელსა და ამაგს.

ვ. ჯაოშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს გეოგრაფთა საზოგადოების პრეზიდენტი, პროფესორი;

რ. კვერენჩხილაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი.

გაშთარი გვენვია

დეკემბერი ზამთრის პირველი თვეა. ამ პერიოდში დედამიწის ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ყველაზე მოკლე დღეები და გრძელი ღამეებია. 22 დეკემბერი კი წელიწადის უმოკლეს დღედ ითვლება.

დეკემბერში საქართველოში მნიშვნელოვნად კლებულობს ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა, იგი 3-6 გრადუსით დაბალია ნოემბერთან შედარებით. კლიმატური მონაცემებით, კოლხეთის დაბლობზე ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა მერყეობს 6-9 გრადუსის ფარგლებში, ქართლის ვაკესა და კახეთში 3 გრადუსი სითბოდან 1 გრადუს ყინვამდე, მაგრამ ცალკეულ წლებში საშუალო თვიური ტემპერატურა აღნიშნული ნორმისაგან მნიშვნელოვნად გადაიხრება ხოლმე.

ცალკეულ წლებში ჰაერის ტემპერატურა მნიშვნელოვნად იკლებს და ამსოლუტურმა მინიმუმმა შეიძლება დაიწიოს კოლხეთის დაბლობზე 6-16, ხოლო ქართლის ვაკესა და კახეთში — 15-25 გრადუს ყინვამდე, მაგრამ ამავე დროს დეკემბერში ზოგჯერ ხდება მნიშვნელოვანი დათბობა და ამ დროს დაბლობ რაიონებში აბსოლუტური მაქსიმუმი აღწევს 20-23, დასავლეთ საქართველოში კი ზოგან 28 გრადუს სითბოსაც.

როგორი ამინდი იქნება მომდინარე წლის დეკემბერში?

საქართველოს ჰიდრომეტცენტრის ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით, ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებში მოსალოდნელია მრავალწლიურ ნორმასთან ახლოს, აღმოსავლეთ საქართველოში ნორმაზე მაღალი.

ნალექების თვიური რაოდენობა მოსალოდნელია ნორმაზე მეტი, ზოგან ნორმასთან ახლოს (ნორმა დასავლეთ საქართველოსათვის არის 100-დან 250 მმ-მდე, აღმოსავლეთ საქართველოში 10-40 მმ, მთაში ზოგან 90 მმ-მდე).

ნ. ბერაძე,
საქართველოს ჰიდრომეტცენტრის უფროსი.

მთებთან ჭიდილში. ფ. კრიმსკის ფოტო.

ზამთაფენეები

დედა-შვილი გადაარჩინა

ეს ამბავი ცხინვალის რაიონის სოფელ ხეთაგუროვოში მოხდა: დიასახლისი ნაირა ამბეგა ჩვეულებრივ საქმით იყო გართული, მისი პატარა იანგი კი ჭის ახლოს თამაშობდა ეზოში. შემთხვევით ბავშვი ჭაში ჩავარდა. დაზაფრული დედა კიბეზით მიიჭრა ჭასთან, და რა დაინახა, შვილი იძირებოდა, თავადაც შიგ ჩახტა. მალე ქალი ბავშვიანად ამოცურდა წყლის ზედაპირზე. განსაცდელში ჩავარდნილი დედა-შვილი კარგა ხანს ელოდა მშველელს.

სწორედ რომ ბედად, გამოჩნდა ამ დროს მეურნეობის მძღოლი მურიკ მალძიგოვი. ბავშვების წვიკილ-კივილი რომ გიგონა, არც დაფიქრებულა, სწრაფად დაამუხრუჭა ავტომანქანა, თავალს დახამამებაში გადაკრა ტვირთზე გადაჭერილი თოკი და 12 მეტრი სიღრმის ჭაში ჩაეშვა. მურიკმა ჯერ ბავშვი ააწოდა ჭის თავზე თავმოყრილ ბავშვებს, შემდეგ კი გულშეღონებული ქალიც ამოიყვანა ჭიდან.

ასე გადაარჩინა მამაცმა მძღოლმა ორი სიცოცხლე — მეურნეობის მოწინავე მუშის მუხარ მამიევის ცოლ-შვილი, რისთვისაც მთელი სოფლის მადლობა დაიმსახურა.

გ. თედეევი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

დათვი ხაფანგში გააბეს

ოჩამჩირე. ამ ბოლო ხანს სოფელ ნაას დათვი შემოეჩვია, რომელმაც გარკვეული ზიანი მიაყენა ადგილობრივი კოლმეურნეობის სმენდიის ყანებსა და მოსახლეობას — ვის ძროხა დაუგლეჯა, ვის კიდევ თხა და ღორი... ბოლოს ნადირი ისე გათამამდა, დღისითაც კი არ ერიდებოდა არაფერს, დაერეოდა მობალახე საქონელს და ტყისკენ გაიქანებდა ამორჩეულ მოზვერსა თუ დეკეულს. მოკლედ, ისე შეწუხდნენ ნატლები, რომ ზემდგომ ორგანოებსაც კი მიმართეს დახმარებისათვის.

ნათქვამია, ნადირი იყოს და, მონადირეც გამოჩნდებაო! მონკავშირის წევრებმა ა. ქებურიამ და შ. შერიზიამ კარგად იცოდნენ, ვისთანაც ჰქონდათ საქმე, მაგრამ მაინც ცდა არ დაიკლეს და, აკი გაიბეს კიდეც ხაფანგში ეს თავგასული „დაუპატიჟებელი სტუმარი“, რომლის სანახავადაც, რომ იტყვიან ქუდზე კაცი გამოსულიყო იმ დილაუთენია ტყისპირზე, სოფლის ბოლოში.

ხაფანგში აწრიალებული ნადირი კარგა ხანს „ისმენდა“ ქების სიტყვებს, იმ დღეს საზრიან მონადირეებს რომ მიმართავდნენ მადლიერი ნაელები.

დ. ზონია,
„კომუნისტის“ კორ.

ᲧᲐᲑᲐᲮᲘ

პრეტენდენტთა მატჩებზე

ᲓᲣᲑᲜᲐ

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐ-ლევიტინას მატჩის მერვე პარტია გადაიდო. ლევიტინას ზედმეტი პაიკი პყავს.

ᲓᲐᲒᲝᲛᲘᲡᲘ

რთულ პოზიციაში გადაიდო **იოსელიანისა** და **სემიონოვას** მერვე პარტიაც.

ორივე ქალაქში მეტოქენი დღეს დაამთავრებენ ამ პარტიებს.

ᲚᲘᲓᲔᲠᲗ ᲓᲐᲔᲬᲘᲕᲜᲔᲜ

ᲕᲘᲚᲜᲘᲣᲡᲨᲘ მიმდინარე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეებმა გაიმუაგზეს. სწორედ ამ ეტაპზე შემჭიდროვდა ლიდერთა ჯგუფი და გადაიდო ბევრი პარტია, რომელთა დასრულება ბრძოლის შემდგომ გამწვავებას გვპირდებოდა. ასეც მოხდა. პირველობის ლიდერმა ნინო გურიელმა ორ გადადებულ პარტიაში მოლოდ ნახევარი ქულა მოიპოვა — ჯერ ახმილოვსკაიას დაუზავდა, შემდეგ კი წაიგო ლატინსკაიასთან. ზედიზედ მესამედ გაიმარჯვეს გაფრინდაშვილმა და ბუჩნიკმა. ნონამ დამარცხა ოსტრი, მუჩნიკმა — ბაგინსკაიტე. ახლა სამ მოჭადრაკეს, გაფრინდაშვილს, რომელსაც კიდევ ერთი პარტია აქვს დასამთავრებელი, გურიელს და მუჩნიკს — 6,5-6,5 ქულა აქვთ, 6 ქულა აქვს ახმილოვსკაიას, 5,5 ქულა — ლატინსკაიას.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲗᲐᲡᲘ — ᲡᲐᲒᲭᲝᲗᲐ ᲤᲐᲚᲐᲕᲜᲔᲑᲘ

ᲡᲐᲑᲔᲭᲓᲜᲔᲗᲘᲡ ქალაქ სალონიკში გაიმართა მსოფლიოს თასის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში. მონაწილეობდნენ: სსრ კავშირის ნაკრები — ამ თასის სამგზის მფლობელი, ევროპის 1983 წლის ჩემპიონი, კუბის ნაკრები — ამერიკის კონტინენტის ჩემპიონი, იაპონის ნაკრები — აზიის ჩემპიონი, ეგვიპტელი და მაროკოელი მოჭიდავეებით დაკომპლექტებული აფრიკის ნაკრები და მასპინძელთა — ბერძენ ათლეტთა გუნდი.

კვლავ წარმატებით იასპარეზა ტურნირის ფავორიტმა, საბჭოთა კავშირის ნაკრებმა, რომელმაც წელს ზედიზედ მეოთხედ მოიპოვა მსოფლიოს თასი. საბჭოთა მოჭიდავეებმა დაამარცხეს აფრიკის — 10:0, იაპონიის — 10:0, საბერძნეთის — 9:1 და კუბის — 8:2 — გუნდები

საბჭოთა მოჭიდავეთაგან მსოფლიოს თასი პირად ჩათვლაში მოიპოვეს ვ. ალხეგრდიევმა — 48 კგ, ს. დიუდაევმა — 52 კგ, კ. მაჯიდოვმა — 62 კგ, მ. ალიკანანმა — 68 კგ, რ. გაინანოვმა — 74 კგ, ა. ბატალოვმა — 82 კგ, ვ. ჩებრუკოვმა — 90 კგ, ს. გოლუბოვიჩმა — 100 კგ. მეორე ადგილი დაიკავა ძმიმე წონის მოჭიდავემ ვ. გრიგორიევმა, მესამე — ვ. პივოვაროვმა.

თასის გათამაშებაში პირველად მეორე გუნდური ადგილი კუბელმა სპორტსმენებმა მოიპოვეს, მესამე ადგილი წილად ხვდათ ბერძენ მოჭიდავეებს.

„ᲫᲐᲚᲒᲘᲠᲘᲡᲘᲡ“ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ სპორტის სასახლეში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა 51-ე ჩემპიონატის ფინალური ექვსეულის თბილისის ტურის მატჩები. კიევის „სტროიტელმა“ დაამარცხა ცსკა — 83:78, „ყალგირისმა“ მოუგო კიევის ასკ-ს — 105:84, თბილისის „დინამომ“ წააგო ტაშკენტის „უნივერსიტეტთან“ — 101:111.

დღეს, ტურის ბოლო მატჩებია. თბილისელები კიევის არმიელებს ხვდებიან.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ. ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაში რამდენიმე ამხანაგური მატჩი გამართა ვილნიუსის „ყალგირისმა“, ტურნეს ბოლო მატჩში „ყალგირისი“ შეხვდა ხანამნინის პროვინციის კლუბების ნაკრებს და გაიმარჯვა ანგარიშით 5:2.

ᲨᲘᲒᲣᲠᲣᲚᲘ ᲪᲘᲒᲣᲠᲐᲝᲑᲐ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში დასრულდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი „ცისფერი მახვილები“. კარგად იასპარეზა 24 წლის ოდესელმა ბორის უსპენსკიმ, რომელმაც ერთეულთა ციგურაობაში გაიმარჯვა. აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულმა გდრ-ის ჩემპიონს ფალკო კირსტენს აჯობა. სპორტულ წყვილებსა და ქალთა ასპარეზობაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

კონკურსი ილია ვეკუას სახელობის პრემიის მოსაპოვებლად



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს ი. ვეკუას სახელობის პრემიის მოსაპოვებლად.

ი. ვეკუას სახელობის პრემია — 2500 მანეთი დაწესებულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 10 მაისის № 325 დადგენილებით და მიენიჭება 3 წელიწადში ერთხელ საუკეთესო მეცნიერული ნაშრომისათვის მათემატიკის, მექანიკისა და ფიზიკის დარგში.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ცალკეულ ავტორთა შრომები, კოლექტიური ნაშრომებისათვის პრემია მიეცემა ხელმძღვანელებს და ძირითად ავტორებს, რასაც დაადგენენ წარმომდგენი ორგანიზაცია და საექსპერტო კომისია. პრემიის გაყოფა ორ ან მეტ მაძიებელს შორის სხვადასხვა ნაშრომისათვის არ შეიძლება.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს წინა სამი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული შრომები, მაგრამ გამოცემული არა უგვიანეს ექვსი თვისა განცხადების გამოქვეყნებამდე.

შრომა პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო საზოგადოების, უწყების, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან სათანადო დარგის წამყვანმა მეცნიერებმა ან სპეციალისტებმა.

იმ ორგანიზაციებმა თუ ცალკეულმა პირებმა, რომლებმაც პრემიის მოსაპოვებლად კანდიდატი დაასახელეს, უნდა წარმოადგინონ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში შემდეგი მასალა:

1. დასაბუთებული წარდგინება, რომელიც შეიცავს ნაშრომის მეცნიერულ დახასიათებას და განმარტავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას მეცნიერების განვითარებისათვის;
2. ავტორის ან ავტორთა ნაშრომი 3 ცალად;
3. მონაცემები ავტორის შესახებ (ძირითად სამეცნიერო ნაშრომთა სია, მუშაობის ადგილი და თანამდებობა, ბინის მისამართი);
4. ცნობა იმის შესახებ, რომ კონკურსზე წარმოდგენილ ნაშრომს წინათ არ ჰქონია მინიჭებული ლენინური, სახელმწიფო ან სხვა პრემია.

მასალები პრემიის მოსაპოვებლად განცხადების გამოქვეყნების დღიდან 1 თვის განმავლობაში უნდა გამოიგზავნოს მისამართით:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პროსპექტი, 52, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, „ი. ვეკუას სახელობის პრემიის მოსაპოვებლად“.

პრემიის მინიჭება 1984 წლის აპრილში.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი



აცხადებს მიღებას დაუსწრებელ სწავლებაზე შემსვლელთა ერთთვიან მოსამზადებელ კურსებზე.

კურსები მუშაობს სამეურნეო ანგარიშზე.

საბუთები მიიღება 1 დეკემბრიდან.

სწავლა დაიწყება 15 დეკემბერს.

ერთთვიან მოსამზადებელ კურსებზე მისაღებად უნდა წარმოადგინოთ განცხადება რექტორის სახელზე და ცნობა სამუშაო ადგილიდან.

8-თვიან მოსამზადებელ კურსებზე გრძელდება საბუთების მიღება. მსურველები უზრუნველყოფილი იქნებიან სამუშაოთი (ანაზღაურებას მიიღებენ გამომუშავების მიხედვით).

სასწავლებლად მიიღებიან საშუალო, საშუალო სპეციალური და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი. კურსებზე ისწავლება ყველა ის საგანი, რომლებიც ჩაბარდება ინსტიტუტში მისაღები გამოცდების დროს, არჩეული სპეციალობის მიხედვით.

8-თვიან კურსებზე შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განცხადება; ატესტატი ან დიპლომი; ამონაწერი შრომის წიგნაკიდან; ცნობა ჯანმრთელობის შესახებ; 2 ფოტოსურათი. (3X4).

კურსებზე განცხადებები მიიღება ყოველდღე, გარდა კვირისა, 10-დან 15 საათამდე.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, დიღომი, სამხედრო გზის მე-13 კმ.

სახოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ოთახი № 265.

ავტობუსი № 54 მეტროს სადგურ „დიდუბიდან“ და № 27 უცხო ენების ინსტიტუტიდან საბურთალოს გაყვით.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო

თბილისის სასწავლო საწარმო

აცხადებს ინვალიდთა კურსებზე მიღებას 1984 წლისათვის შემდეგ პროფესიებზე:

რადიო-ტელევიზორის შემკეთებლები:

სწავლების ვადა — ერთი წელი, სწავლა დაიწყება 1 იანვარს.

მამაკაცისა და ქალის ტანსაცმლის მკერავები.

სწავლების ვადა — 1 წელი, სწავლა დაიწყება 1 იანვარს.

საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოების შემკეთებლები.

სწავლების ვადა — 6 თვე, სწავლა დაიწყება 1 იანვარს და 1 ივლისს.

საანგარიშო (საბუღალტრო) სპეციალობაზე:

სწავლების ვადა — 1 წელი. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

რადიო-ტელევიზიისა და საბუღალტრო კურსებზე მიიღებიან ინვალიდები, რომლებსაც აქვთ საშუალო განათლება, დანარჩენ სპეციალობაზე — არასრული საშუალო განათლების მქონე ინვალიდები.

რადიო-ტელევიზიისა და ტანსაცმლის კერვის კურსებზე შემსვლელებმა 1-დან 25 დეკემბრამდე, საბუღალტროზე — 1-დან 25 აგვისტომდე, ხოლო ელექტროხელსაწყოების შემკეთებელთა კურსებზე შემსვლელებმა დეკემბერსა და ივნისში უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განცხადება დირექტორის სახელზე: სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების შუამდგომლობა; განათლების მოწმობის პირი 2 ცალად (ნოტარიუსით დამოწმებული); საექიმო შრომითი საექსპერტო კომისიის დასკვნა აოსებულ პროფესიაზე სწავლებისა და შემდგომი მუშაობის შესახებ 2 ცალად; ინვალიდობის ცნობა; პასპორტი და სამხედრო ბილეთი.

კურსებზე მიიღებიან 16-დან 50 წლამდე ასაკის ორივე სქესის II და III ჯგუფის ინვალიდები. ჩარიცხულ ინვალიდებს სწავლის პერიოდში მიეცემათ სტიპენდია 25 მანეთი.

რაიონებიდან მ